# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№149 (9829) 2024 წლის 25 დეკემბერი, ოთხშაბათი.

ფასი 1 ლარი




## წვრილფეხა რადიკალებო, გეშინოდეთ სიმართლის!

**„ქართულ ოცნებას“ ევროპული გზიდან არ გადაუხვევია!**

2

**ბესო დანელია:**

**მევახშეების ჩოლოყაშვილობა სად გაგონილა, ხაზარაძეებო!**



3

## გინდ, ქვა ახალე კოკას და გინდ, კოკა ახალე ქვას,

4



## ანუ „რიგგარეშე არჩევნები“

შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ საპრეზიდენტო ვადის ოფიციალურად გასვლის შემდეგ (ანუ 29 დეკემბრიდან), უკვე საბოლოოდ ერთ უბირ დედაკაცად ქცეულ ზურაბიშვილს თუნდაც სამკაციანი პოლიტიკური ჯგუფის ლიდერობის არავითარი შანსი აღარ რჩება.

**დადუნ თურქაძე**

## დამაფიქრებელი აბრაკადაბრა



9

*ეჰ, ჩემო, მუზავ!*
*რა შემეძლო ასეთ ქარცეცხლში*
*შენც კარგად იცი,*
*თნევა დამყვა სულის გადიად,*
*არ მწამს სახელი შეფერილი*
*ოქრო და ვერცხლით,*
*ჩემი ღირსება მახტრიონის*
*განთიადია!*



**დიმიტრი ჩიქოვანი:** მორჩა შენი ტყუილების მოსმენა; ველარ დაგვაბოლებ... რისთვის აილე მილიონები, სალომე?!

3

**რომის პაპი ფრანცისკე:**

## დაე, იარაღი გაჩუმდეს!

12

## მელიებს რაც ესიზმრებოდათ!..

**ზაალ ანჯაფარიძე** ...საერთაშორისო აქტორებს ჩართავენ, რომ საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლა მოახდინონ და დაანიშნინონ ხელახალი არჩევნები!..

5



## არაკაცი თაღლითები!!!

6

ბრალდებულები 53 მოქალაქის კუთვნილ 1 041 336 ლარს მოტყუებით დაეუფლნენ!

საქართველოს რესპუბლიკა

სამშობლოს არ დავთმობთ!

25 დეკემბერი, 2024 წელი

# წვრილფეხა რადიკალებო, გეშინოდეთ სიმართლის!



## „ქართულ ოცნებას" ევროპული გზიდან არ გადაუხვევია!

**გუშინ თბილისის საკრებულოში სხდომა გაიმართა, სადაც თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მერიის წლიური ანგარიში წარადგინა.**

**სხდომას** საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე** უძღვებოდა.

მერის წლიურ ანგარიშთან ერთად მოისმინეს 2025 წლის დასამტკიცებელი ბიუჯეტი, რომლის ოდენობაც 1 მილიარდ 983 მილიონ ლარს შეადგენს.

„დღეს ვაჯამებთ 2024 წელს თბილისში განხორციელებული პროექტების მიმართულებით. ჩვენ მოვისმენთ მერის ანგარიშს და ასევე განვიხილავთ 2025 წლის ბიუჯეტის პროექტს. 2024 წელი ქალაქის განვითარების მიმართულებით იყო ძალიან მნიშვნელოვანი, განხორციელდა ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ასევე სატრანსპორტო და სოციალური პოლიტიკის მიმართულებით. ჩვენ ამ თემაზე დეტალური განხილვა გვექნება, მოვისმენთ მერის ანგარიშს.

ასევე, 2025 წლის წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი, რომელიც არის 1 მილიარდ 983 მილიონი და რომელიც, ვვარაუდობთ, რომ იანვრის ბოლოსთვის დაახლოებით 150 მილიონი ლარით, გარდამავალი ნაშთის შესაბამისად გაიზრდება. ეს უპრეცედენტოდ მაღალი ნიშნულია თბილისის ბიუჯეტის", – განაცხადა ტყემალაძემ.

საკრებულოს თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა თემაზე, რომელიც ოპოზიციონერების ბოიკოტს შეეხებოდა და აღნიშნა, რომ წელს კი არა, 8 წლის განმავლობაში ოპოზიციურ კოლეგებს არც ერთი ბიუჯეტისთვის მათ მხარი არ დაუჭერიათ.

* * *

**„ქართულ ოცნებას"** არავითარი ევროპული გზიდან არ გადაუხვევია! – თეთრზე შავით გვიმტკიცებენ, რომ დსთ-ს წევრი ქვეყანა თურმე ნათელ ფერებშია, საქართველო კი ბნელში. გახსოვთ, ეს განცხადება, რომელიც ბორელმა გააკეთა. ეს არის ევროპული სამართლიანობა?! – ამის შესახებ „ქართული ოცნების" გენერალურმა მდივანმა, დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ თბილისის საკრებულოში სხდომაზე გუშინ განაცხადა.

„ცხადია, არ დავუშვებთ არეულობას, ომს, ქვეყნის ინტერესების გაყიდვას, არც შიდა ძალების მცდელობით და არც გარე ძალების კარნახით. ეს არასდროს მოხდება, კარგად უნდა შეიგნონ ეს როგორც ქვეყნის შიგნით ამ წვრილფეხა რადიკალებმა, ასევე ქვეყნის გარეთ მათმა პატრონებმა. მოსახლეობის გასაგონად კიდევ ერთხელ განვმარტავ, რომ „ქართულ ოცნებას" არავითარი ევროპული გზიდან არ გადაუხვევია. „ქართული ოცნება" ის ძალაა, რომელმაც ყველაზე მეტად დაგვაახლოვა ევროპასთან. ყველა წინ გადადგმული ნაბიჯი ევროინტეგრაციის გზაზე უკავშირდება „ქართული ოცნების" ხელისუფლების პერიოდს. ცხადია, გვინდა

**ჯერ კიდევ ბევრს აქვს სურვილი, ქართველ ხალხს არჩევანი წაართვას და ხელისუფლება არა თავისუფალ, კონკურენტულ არჩევნებში გამარჯვებულ ძალას, არამედ მათ მიერ ხელდასხმულ და ქართველი ხალხის მიერ უარყოფილ ძალებს გადასცენ — მოსახლეობას პირობას ვაძლევთ, ეს ვერ და არ მოხდება — საქართველოს ინტერესები არ დაითმობა.**

ევროპა. ეს არავის აძლევს უფლებას ამ მიზნის ვიწრო პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაცია მოახდინოს, ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ შანტაჟის იარაღად გამოიყენოს. ევროკავშირში გაწევრების მიზანი არავინ უნდა დაამსგავსოს სატყუარას, რომლის მეშვეობით ჩვენს გაბითურებას შეეცდებიან პატარა ბავშვებივით.

გავიხსენოთ კანდიდატის სტატუსის მოცემა-არმოცემის საკითხი. როგორ გვაშანტაჟებდნენ და გვაყენებდნენ შეურაცხყოფას. ტყუილით გაჯერებული შეტყობინებები, რომელსაც ვისმენდით გარედან კონკრეტული პოლიტიკოსების მხრიდან, სიმართლეს მოწყვეტილი განცხადებები იყო. სამწუხაროდ, დღეს საქართველო ისევ დასაჯეს. ახალი მოიფიქრეს, მოლაპარაკების გახსნა-არ გახსნა. თეთრზე შავით გვიმტკიცებენ, რომ დსთ-ს წევრი ქვეყანა თურმე ნათელ ფერებშია, საქართველო კი ბნელში. გახსოვთ, ეს განცხადება, რომელიც ბორელმა გააკეთა. ეს არის ევროპული სამართლიანობა?! რიტორიკული კითხვაა, პასუხი პრემიერის განცხადებაა, როდესაც მივიღეთ გადაწყვეტილება მთელი პასუხისმგებლობა დაეკისროს ევროკავშირის უწყებებს.

დღეს მათ შეუძლიათ თავისუფლად გახსნან მოლაპარაკებები, საქართველოს ხელისუფლება მზად არის, ხელი მოაწეროს აღნიშნულ დოკუმენტს. თუმცა, ამ თემით მუდმივი შანტაჟი და მანიპულაციები მიუღებელია"!

* * *

**„2024 წელს** 450 000 კვ. მეტრზე განხორციელდა გამწვანების სამუშაოები. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 581 პარკს, სკვერს და სპორტულ მოედანს. 2024 წელს ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურმა 29 პროგრამა განახორციელა. დაკმაყოფილდა 300 000-მდე მოქალაქის ნახევარ მილიონზე მეტი მოთხოვნა. 2024 წელს დაფინანსდა სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახების წევრი 5 300-ზე მეტი სტუდენტი, საზაფხულო პროგრამებში ჩაერთო 2 000-მდე ახალგაზრდა.

2024 წელს ახალგაზრდების სოციალური მეწარმეობის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 14, კულტურის სფეროს განვითარების მიმართულებით – 230-მდე, ხოლო „შემოქმედებითი თბილისის" ფარგლებში – 56 პროექტი. 2024 წელს აშენდა და გაიხსნა 5 საბავშვო ბაგა-ბაღი, განახლდა 8, შენდება 6, რეაბილიტაცია უტარდება 2 ბაღის შენობას.

2024 წელს შპს „თბილსერვის ჯგუფმა" შეისყიდა სხვადასხვა დანიშნულების 104 სპეცმანქანა, მოეწყო 228 ერთეული მიწისქვეშა კონტეინერი, დამონტაჟდა 5 000-მდე სანათი. 2024 წელს დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე დაიხაზა საგზაო მონიშვნები – 74 982 კვ. მეტრი. დასრულდა 4 მიწისქვეშა გადასასვლელის რეაბილიტაცია.

2024 წელს დამონტაჟდა მოძრაობის სიჩქარის შემზღუდველი ბარიერი – 5 346 გრძივი მეტრი, 4 066 სხვადასხვა ჯგუფის საგზაო ნიშანი და 68 შუქნიშანი.

2024 წელს თბილისის მუნიციპალურმა ინსპექციამ ექსპლუატაციაში მიიღო 1 038 სამშენებლო ობიექტი, შესწავლის პროცესშია 243 განაცხადი. 2024 წელს დასრულდა რუსთაველის გამზირისა და მთაწმინდის პარკის დამაკავშირებელი საბაგირო გზის და მეტროსადგურ „ავლაბრის" ზედა ვესტიბიულის სარეაბილიტაციო სამუშაოები. 2024 წელს დამატებით შესყიდულია 40 ერთეული 18-მეტრიანი ავტობუსი. 2025 წელს დედაქალაქს 200 ერთეული 18-მეტრიანი ავტობუსი მოემსახურება.

2024 წელს გამოცხადდა ტენდერი 12 მეტროსადგურის კონცეპტუალური დიზაინისა და თანამედროვე სტანდარტის 97 ერთეული ვაგონის შესყიდვაზე.

2024 წელს საცხოვრებელი ფართები დაუკანონდა 204 ოჯახს. 2017 წლიდან დღემდე, ფართები საკუთრებაში გადაეცა 3 010 ოჯახს. 2024 წელს საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილდა კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით დაზარალებული 390 პირი. საერთო ჯამში, დაკმაყოფილებულია 2 483 პირი.

2024 წელს სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში თანხმობა გაიცა, დაახლოებით, 19 000 მიწის ნაკვეთის რეგისტრაციაზე. 2024 წელს ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფრის ტერიტორიაზე აშენდა და სრულად აღიჭურვა ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მიუსაფარი ცხოველების პოპულაციის მართვის ცენტრი. 15 000-მდე თბილისელმა გაიარა უფასო კონსულტაცია „ჩვენი ადვოკატის" ადვოკატებთან თბილისის რაიონების გამგეობებში. საგანმანათლებლო მიმართულებით, საადვოკატო პრაქტიკა გაიარა სხვადასხვა უმაღლესი დაწესებულების იურიდიული ფაკულტეტების 200-მდე სტუდენტმა. თბილისის მუნიციპალიტეტი ცენტრალური ხელისუფლებისგან დახმარების სახით 580 მილიონ ლარს მიიღებს, რაც უპრეცედენტოდ მაღალია. 2025 წელს ინფრასტრუქტურის მიმართულებით ხარჯები 700 მლნ ლარს შეადგენს, ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით 535 მილიონს".

ჯერ კიდევ ბევრს აქვს სურვილი, ქართველ ხალხს არჩევანი წაართვას და ხელისუფლება არა თავისუფალ, კონკურენტულ არჩევნებში გამარჯვებულ ძალას, არამედ მათ მიერ ხელდასხმულ და ქართველი ხალხის მიერ უარყოფილ ძალებს გადასცენ – მოსახლეობას პირობას ვაძლევთ, ეს ვერ და არ მოხდება – საქართველოს ინტერესები არ დაითმობა.

მისი თქმით, გარე ძალებს საქართველოს მიმართ „ინტერესი განსაკუთრებით, რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ გაუჩნდათ".

„მიიწურა გამოწვევებით სავსე 2024 წელი, რომელმაც მიუხედავად უდიდესი ზეწოლისა გარე თუ შიდა ძალების პროვოკაციებისა, ქვეყანაში არეულობის დათესვის მცდელობისა, მოგვიტანა თვალსაჩინო შედეგები, როგორც დედაქალაქის, ისე ზოგადად ქვეყნის განვითარების კუთხით. რა საკვირველია, ყველასათვის საუკეთესო იქნებოდა დღეს გვესაუბრა, მხოლოდ და მხოლოდ, ამ მიღწეულ შედეგებზე, გაკეთებულ პროექტებზე, განხორციელებულ მაგარ საქმეებზე, თუმცა გვერდს ვერ ავუვლით ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, რომ არ შევაფასოთ ის, რაც ხდებოდა დედაქალაქში ბოლო დღეების განმავლობაში და ზოგადად, რა პოლიტიკური პროცესები მიდიოდა ქვეყანაში.

ის, რაც ქვეყანაში ხდებოდა, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ იყო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, რომელიც არ დაწყებულა დღეს ან გუშინ, წლებია მზადდება ნიადაგი ამ ყველაფრისთვის. განსაკუთრებით გაძლიერდა იმის შემდეგ, რაც დაიწყო უკრაინის მოვლენები. უცხო ძალებს განსაკუთრებული ინტერესი გაუჩნდათ საქართველოს მიმართ. საქართველო გამოყენებული უნდა ყოფილიყო მათი ინტერესების პოლიგონად. „ქართული ოცნების" ხელისუფლება, რომელიც უარს აცხადებდა საქართველოს დასუსტების და უფრო მეტიც, მისი განადგურების ხარჯზე შეესრულებინა ე.წ. მეგობრების მითითებები, მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ჩვენს ქვეყანაზე და ხელისუფლებაზე უპრეცედენტო ზეწოლა ხორციელდებოდა, რათა გვემოქმედა არა ჩვენი ქვეყნის, მისი მშვიდობიანი მომავლის ინტერესებით, არამედ სხვა, დიდი ქვეყნების ინტერესების გათვალისწინებით, რაც აშკარა რისკებს უქმნიდა ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას. პირდაპირ შეიძლება თქვას,


დასრულდა რუსთაველის გამზირისა და მთაწმინდის პარკის დამაკავშირებელი საბაგირო გზის სამუშაოები.


2024 წელს 450 000 კვ. მეტრზე განხორციელდა გამწვანების სამუშაოები.


დამატებით შესყიდულია 40 ერთეული 18-მეტრიანი ავტობუსი.

ჩვენ რომ შეცდომა დაგვეშვა და გადაგვედგა არასწორი ნაბიჯი, ეს ქვეყნისთვის სრული კატასტროფა იქნებოდა“!

* * *

**რამ გამოიწვია** აქციების ტალღა? რასაკვირველია, ეს არის ისევ და ისევ იმ გეგმის ნაწილი, რომელიც წინასწარ გათვლილი და დაკვეთილი იყო არჩევნების შემდგომი პერიოდისთვის. „ქართული ოცნების“ საარჩევნო დაპირება მოსახლეობის პრიორიტეტების გამოძახილია – მშვიდობა, კეთილდღეობა, ღირსეული ევროპული მომავალი! სწორედ ამიტომ გვენდო საქართველოს მოსახლეობა კიდევ ერთხელ და გვანდო ამ ქვეყნის ბედი. ამ ნდობას ჩვენ თვალისჩინივით ვუფრთხილდებით და არავის მივცემთ უფლებას, ფეხქვეშ გათელოს ჩვენი ხალხის უდიდესი ნაწილის არჩევანი. არჩევნები შედგა და ჩვენი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა – 1 მილიონ 220 ათასმა ამომრჩეველმა ხმა მისცა „ქართულ ოცნებას“. ჩვენ ვნახეთ ეუთო/ოდირის საბოლოო ანგარიში, რომელიც იმეორებს წინასწარი ანგარიშის ძირითად დასკვნას, რომ 26 ოქტომბერს ამომრჩეველს ჰქონდა „ფართო არჩევანი“, ხოლო პოლიტიკურ პარტიებს შეეძლოთ „კამპანიის თავისუფლად წარმოება“, შექებულია ცესკო არჩევნების „კარგად ორგანიზებისა და ადმინისტრირებისთვის“, ხაზგასმულია წინასაარჩევნო კამპანიის მშვიდი გარემო.

რასაკვირველია, არის შენიშვნები მათი მხრიდან როგორც „ქართული ოცნების“, ისე ოპოზიციური პარტიების მისამართით, თუმცა მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ეუთო/ოდირის მისია მზადყოფნას გამოთქვამს, ითანამშრომლოს საქართველოს არჩეულ ხელისუფლებასთან საარჩევნო გარემოსა და პროცედურების შემდგომი გაუმჯობესებისთვის“!

* * *

**„და რას** ვხედავთ ამ დროს რუსთაველის გამზირზე? კარგად ორგანიზებული რადიკალური ჯგუფები, ექსტრემისტული ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ოპოზიციური პარტიები, რომელთა ლიდერად გარე ძალებმა დანიშნა სალომე ზურაბიშვილი, ზიზღით, აგრესიით, ბულინგით ესხმიან თავს ყველას, ვისაც უნდა მშვიდობა, ქვეყნის განვითარება და მისი ევროპული მომავალი.

ნახეთ, რა ხდება სოციალურ ქსელებში, რა მასშტაბის ფინანსური რესურსია ჩადებული იმაში, რომ სოკოებივით მომრავლებულმა ათასგვარმა გაურკვეველმა ჯგუფებმა მოახდინონ საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, ცხადია ეს არ გამოსდით და ძალადობით, ლანძღვა-გინებით ესხმიან თავს ყველას და ყველაფერს.

აბულინგებენ ყველას – მეწარმეებს, ხელოვანებს, სპორტსმენებს, მეცნიერებს, სტუდენტებს, ბებია-ბაბუებს, სკოლებში უვარდებიან მცირეწლოვან ბავშვებს. სიძულვილის კამპანია, განსხვავებული აზრის სრული მიუღებლობა რევოლუციური სცენარის ნაწილია.

ეს არის ლიბერალური ფაშიზმი და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ქვეყანაში ფაშიზმი დავასრულოთ. ქვეყანაში უნდა დასრულდეს ის მდგომარეობა და ვითარება, რაც გვაქვს ამ კონკრეტული ძალადობის სახით. თუ შენ დღეს გაქვს განსხვავებული მოსაზრება, მაშინვე ხარ მტერი, აკრავთ რაღაც იარლიყებს – „რუსეთუმე“, „რუსი“. ჩვენ არავის მივცემთ იმის შესაძლებლობას, რომ საზოგადოება დაყოს. რა თქმა უნდა, შეიძლება გვქონდეს სხვადასხვა მოსაზრება, მაგრამ უნდა გვქონდეს ამის მიმღებლობა და ის, რასაც აკეთებენ ბოლო თვეების, ბოლო წლების განმავლობაში, არის ლიბერალური ფაშიზმი და ფაშიზმი უნდა დასრულდეს ქვეყანაში!..

**მეგობრებო, სიძულვილით არავის გაუმარჯვია, ყველა ეს მცდელობა ფუჭია და დროებითი. უახლესი ისტორიიდან ვიცით, რა მოუტანა საქართველოს სამოქალაქო დაპირისპირებამ, რისკენაც ასე ისწრაფვიან ჩვენი გარე თუ შიდა მტრები. ეს იქნება დამღუპველი ჩვენი ქვეყნისთვის, რასაც არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ. დღეს სახელმწიფო ძლიერია, ძლიერია ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი და რაც მთავარია, დღეს ხელისუფლება სარგებლობს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მხარდაჭერით და თანადგომით!**



## დიმიტრი ჩიქოვანი:

# მორჩა შენი ტყუილების მოსმენა; ვეღარ დაგვაბოლებ... რისთვის აიღე მილიონები?!

**სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, თუ კომპრომისული ვარიანტი არ იქნა მიღწეული, არის მეორე ვარიანტიც – „მივალთ არჩევნებამდე რეჟიმის ჩამოშლით, სხვა გზა არ არის – ეს რეჟიმი თავისით იშლება“. „რეჟიმის“ ჩამოშლის იმედად მყოფი ზურაბიშვილი პრეზიდენტის ორბელიანების სასახლეში ელოდება „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარეს ბიძინა ივანიშვილს, რომ ერთად მოიფიქრონ, როგორ უნდა დაინიშნოს არჩევნები. საინტერესო დეტალია ისიც, რომ აუცილებლად არჩევნების დანიშვნის რიცხვი შეთანხმებული უნდა იყოს 29-მდე. ამასთან, პრეზიდენტი ამბობს, რომ შეიქმნება საბჭო, რომლის მანდატიც ახალი არჩევნების მომზადება იქნება.**

მოკლედ, ზურაბიშვილს მართლაც ჰგონია, რომ ერთადერთი ლეგიტიმური ინსტიტუცია ქვეყანაში, რომელსაც შეუძლია ულტიმატუმით ესაუბროს მმართველ გუნდს, რომელსაც ლეგიტიმაცია საქართველოს მოსახლეობის მილიონ 220 ათასმა ამომრჩეველმა მისცა. თავისთავად აქ მნიშვნელოვანია, რას ეფუძნება ზურაბიშვილის ტონალობა და რეალურად ვის გეგმებს ახმოვანებს ამბოხებული ზურაბიშვილი, რომელიც უდავოა, რომ სათავეში უდგას საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებას.

გავრცელებული ინფორმაციით, რადიკალური ოპოზიცია ზურაბიშვილისგან კატეგორიულად მოითხოვს, რომ დანიშნოს ვადამდელი არჩევნები, რისი უფლებაც ზურაბიშვილს არ აქვს, მაგრამ როგორც ირკვევა, ოპოზიციას მისცა პირობა, რომ დანიშნავდა ვადამდელ არჩევნებს, ასევე დაპირდა, რომ იზრუნებდა არჩევნების არალეგიტიმაციისთვის და ამ საკითხს საფრანგეთის პრეზიდენტის დახმარებით შეძლებდა.

არაოფიციალური ინფორმაციით, ამ საკითხების მოგვარებისთვის პრეზიდენტმა „ლელოს“ ლიდერისგან საკმაოდ სოლიდური თანხაც მიიღო. მოკლედ, პირობა ასეთი იყო – რადიკალური ოპოზიცია უზრუნველყოფდა უწყვეტ ქუჩის აქციებს, ხოლო ზურაბიშვილი იმუშავებდა საგარეო ფრონტზე. ზურაბიშვილს კონსულტაციები ჰქონდა ასევე ძებნილ დავით კეზერაშვილთან, რომელიც აფინანსებს საქართველოში მიმდინარე პროცესებს.

ზურაბიშვილმა ვერ უზრუნველყო საერთაშორისო იზოლაცია, მათ შორის ლეგიტიმაციის საკითხიც დღის წესრიგიდან მოიხსნა. 22 დეკემბერი იყო ერთგვარი პიკი, როდესაც რადიკალებმა უზრუნველყვეს რეგიონებიდან მხარდამჭერების ჩამოყვანა იმ იმედით, რომ სალომე ზურაბიშვილი დანიშნავდა ვადამდელ არჩევნებს, რაც არ გააკეთა და ოპოზიციას შეუთავალა, რომ ამით კანონს დაარღვევდა. ზურაბიშვილს ამ განცხადებიდან ცოტა ხანში ორბელიანების სასახლეში ესტუმრა კეზერაშვილის ცოლის ძმა დიმიტრი ჩიქოვანი, რომელიც ზურაბიშვილისგან ითხოვდა პასუხს რატომ არ პასუხობდა ძებნილი დავით კეზერაშვილის სატელეფონო ზარს. როგორც ირკვევა, ჩიქოვანმა პრეზიდენტს განკითხვის დღე მოუწყო: „მორჩა შენი ტყუილების მოსმენა ვეღარ დაგვაბოლებ რისთვის აიღე მილიონები?!“ როგორც ირკვევა, ზურაბიშვილი ოპოზიციას პირდებოდა, რომ მაკრონთან მოაგვარებდა სიტუაციას და დაანიშნინებდა არჩევნებს. მეტიც, მისი მხრიდან იყო პირობა, რომ ეუთო/ოდირის დასკვნა იქნებოდა მძიმე, რაც აიძულებდა ხელისუფლებას ახალი არჩევნების დანიშვნას, რისთვისაც მან დამატებით თანხა მოითხოვა ე.წ. ლობისტებისთვის. საუბარია საკმაოდ დიდ თანხაზე, რომელიც ამ ყველაფერში იქნა გადახდილი, უფრო სწორად გადაყრილი, რადგან ზურაბიშვილმა ვერც ვერაფერი გააკეთა. სხვათა შორის, როგორც წყარო გვეუბნება, კეზერაშვილის გარდა, თანხა ზურაბიშვილს მამუკა ხაზარაძისგანაც აქვს აღებული. წარუმატებლობის შემთხვევაში, კეზერაშვილიც და ხაზარაძეც ზურაბიშვილისგან თანხის უკან დაბრუნებას ითხოვენ.

მანამდე კი, ჩიქოვანმა ზურაბიშვილს კატეგორიულად მოსთხოვა, რომ გასულიყო აქციის მონაწილეებთან და გაეკეთებინა განცხადება ახალი არჩევნების დანიშვნის გზებთან დაკავშირებით.

**ანალიტიკოს ზაალ ანჯაფარიძის** განცხადებით, როდესაც ვიღაცა, ვიღაცას ულტიმატუმს უყენებს, მას უნდა ჰქონდეს იმის რწმენა და გავლენა, რომ ეს ულტიმატუმი შესრულდება. ანალიტიკოსის შეფასებით, საინტერესოა სალომე ზურაბიშვილს რა ბერკეტები გააჩნია იმისათვის, რომ აიძულოს ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ წავიდეს მასთან მოლაპარაკებებზე, რომ დაინიშნოს რიგგარეშე არჩევნები?



**„არავითარი ბერკეტი არ გააჩნია გარდა იმ ეფემერული მხარდაჭერისა, რაც აქვს ცალკეული დასავლელი პოლიტიკოსებისგან, რომლებიც ამ დღეებში ხშირად ახსენებენ მის სახელს, მიიჩნევენ ლეგიტიმურ პრეზიდენტად და მე მგონია, რომ აპირებენ 29 დეკემბრამდე აქ ჩამოსვლას. ხალხის ლეგიტიმაცია მას არ გააჩნია, აქვს ძალიან მცირე რაოდენობის**

# კეზერა და ხაზარაძე ზურაბიშვილსგან თანხის უკან დაბრუნებას ითხოვენ

ზურაბიშვილი, რომელიც ცდილობს აჩვენოს, რომ დამოუკიდებელი მოთამაშეა, არ გამოსდის, რადგან ჯერ კიდევ არჩევნებამდე იყო ცნობილი, რომ პრეზიდენტი რადიკალების დღის წესრიგით მოქმედებდა. მითი, რომ ქვეყანას ზურაბიშვილის სახით ჰყავს ლიდერი და უსასრულოდ ისურვებდნენ მას პრეზიდენტად, მალევე დაიმსხვრა...

* * *

**მმართველ** გუნდში იციან, რომ კულისებშიც სალომე ზურაბიშვილზე მძიმე ზეწოლაა, რათა ადგეს და გამოაცხადოს არჩევნები, რისი უფლებამოსილებაც იმიტომ არა აქვს, რომ ამის საფუძველი არ გააჩნია. „ქართული ოცნების“ წევრის, მამუკა მდინარაძის განცხადებით, თუ სალომე ზურაბიშვილი ჩაიდენს დანაშაულს, რაც მათ შორის გამოიხატება სხვადასხვა მუხლებში, პირობითად: სამსახურებრივ უფლებამოსილებას გამოიყენებს ბოროტად, როგორც პოლიტიკური თანამდებობის პირი, ეცდება საბოტაჟირებას და ა.შ. არაერთი კვალიფიკაციაა სისხლის სამართლის კოდექსში.

**მხარდაჭერა, რომლებიც მას მიტინგზე ეგზალტირებულად ესალმებოდა. სხვა ბერკეტი არა აქვს.**

**მეორე – ულტიმატიმს აბსოლუტურად გამოცლილი აქვს კონსტიტუციური საფუძველი. ასე, რიგგარე არჩევნები არ ინიშნება. საქართველოს კონსტიტუციაში მკაფიოდ არის გაწერილი, რა შემთხვევაში ინიშნება რიგგარეშე არჩევნები. აქედან გამომდინარე, ეს არის სალომე ზურაბიშვილის ბოლო გასროლა, რაც დასჭირდა იმიტომ, რომ აჩვენებს დასავლეთს ის ჯერ კიდევ არის აქტიური. როგორც ჩანს, მისგან მოითხოვენ აქტიურ ნაბიჯებს. მათი შეძახილებით – „შენ ხარ ერთადერი ლეგიტიმური სტრუქტურა საქართველოში“ ეტყობა, ზურგს გრძნობს და ამის იმედად ცდილობს პოლიტიკურ ესკალაციებზე წავიდეს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არავითარი რეალური ძალა მისი ულტიმატუმის უკან არ დგას“,** – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას ზაალ ანჯაფარიძე.

**თამთა ქარჩავა**

## ბესო დანელია: მევახშეების ჩოლოყაშვილობა სად გაგონილა, ხაზარაძეებო!

**2008 წლის 8 აგვისტოს, როდესაც ჩვენი გმირი ბიჭები მტერს აკვდებოდნენ, „თიბისი ბანკის,,- ვაკის ოფისიდან გამოვიდა 2 სატვირთო მანქანა, რომელიც სრულად იყო დატვირთული ფულით, ოქროთი და ძვირფასი ქვებით! მათ წითელი ხიდის გავლით გადაკვეთეს საქართველოს საზღვარი და აზერბაიჯანის საბაჟოს უფროსის მოადგილის ეზოში დაბინავდნენ. ომის დამთავრებამდე იქ იდგნენ და შემდეგ დაბრუნდნენ საქართველოში!**

**„აქამდე ძალიან ბევრ რამეს და ვინმეს ვითვალისწინებდი და ეს არასდროს გამიხმოვანებია, მაგრამ რადგან აქამდე მიხვედით და შუბლის ძარღვი ბოლომდე გაიწყვიტეთ, მეც აღარაფერი მაქვს თქვენთან მოსარიდებელი!**

**მამუკა ხაზარაძე, რა მორალური უფლება გაქვს შენ მიმართო ქართულ ჯარს და ანწუხელიძე ახსენო? რატომ მაშინ არ გაგახსენდა სამშობლო, ქართული ჯარი, ჩვენი დაღუპული ბიჭები და თუნდაც მათი ოჯახები!? შენი აუარებელი ქონებიდან და თუნდაც იმ ორი კამაზიდან – ერთი პროცენტი მაინც რატომ არ მოახმარე მათ და მათ ოჯახებს, ახლა, რომ „ევრო-მაიდანს“ გვიფინანსებ და გადატრიალების მოწყობას ლამობ ქვეყანაში! ყველა ჩემს სიტყვაზე ვაგებ პასუხს და ჩემს მიერ გაჟღერებული ინფორმაციის შესახებ ფაქტები დევს სადაც საჭიროა! ისე ნუ იზამთ, ისეთები გავაჟღერო, რომ ამ ქვეყანაში არ დაგედგომებოდეთ!**

**თქვენი ქონების და პირადი კეთილდღეობის გარდა არაფერი გაღელვებდათ და გაღელვებთ. წადით, ნახეთ თქვენი გზა და საკეთებელი ბიძიკო. მევახშეების ჩოლოყაშვილობა არსად გაგონილა!“**

**ციკლიდან: კვირის ციტატები.** **23.XII.2024**

# გინდ, ქვა ახალე კოკას და გინდ, კოკა ახალე ქვას, ანუ „რიგგარეშე არჩევნები“

**SOS! მივაგოთ კეისარს კეისრისა: კოლექტიურმა ნაცმოძრაობამ კოლექტიური სააკაშვილის მეთაურობით პირნათლად შეასრულა თავისი მომხრეებისა და უჩინარი დამფინანსებელ-დამრიგებლების წინაშე ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე დადებული პირობა — არჩევნების მეორე დღიდანვე ვიწყებთ ბრძოლას სახელმწიფო გადატრიალებისთვის!**



გთხოვთ, კიდევ ერთხელ ყურადღება მიაქციოთ – საუბარია არა ხელისუფლების რომელიმე გადაწყვეტილების, ქმედების გაპროტესტებაზე, არამედ სწორედაც ლენინურ რევოლუციურ სახელმწიფო გადატრიალებაზე, ნებისმიერი მსხვერპლის, ნებისმიერი ტრაგედიის ფასად, ცრუოპოზიციური კლანის ხელისუფლების სათავეში აღზევებაზე.

„უცხოური დაფინანსების გამჭვირვალობისა“ და „ოჯახური სიწმინდის“ შესახებ კანონების გაპროტესტების საბაბით ოპოზიციის მრისხანე გამოსვლები ჯერ კიდევ მარტში დაიწყო. გულსატკენია, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ მოპროტესტეების აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა ამ დაწყევლილი „რუსული კანონების“ შინაარსსა და დანიშნულებაზე. ანუ სინამდვილეში ეს იყო პრიმიტივებზე გათვლილი საბაბი – პროტესტი მიმართული იყო არა უშუალოდ კანონის, არამედ ხელისუფლების წინააღმდეგ. თუ მცირე შესვენებებს არ გავითვალისწინებთ, პროტესტების ტალღა წლის მიწურულამდე გაგრძელდა.

დიდი გულისტკივილით ისიც უნდა ითქვას, რომ ოპოზიციამ პრეზიდენტ ზურაბიშვილის მოწოდებით უკვე ზაფხულიდან დაიწყო მასობრივ პოლიტიკურ აქციებში ბავშვების მასობრივად ჩართვის მცდელობები, რამაც დეკემბერში მწვერვალს მიაღწია – დაიწყო საპროტესტო აქციებში მათი მასობრივი მობილიზაცია. თვის მიწურულს კი, სავარაუდოდ, რადიკალური ოპოზიციის დაკვეთით, ერთ-ერთმა გამომცემლობამ გამოუშვა კარგად დასურათხატებული საბავშვო წიგნები... მცირეწლოვნებისადმი საპროტესტო, ანტისახელმწიფოებრივ მოძრაობაში ჩართვის მოწოდებით!

**როგორც მოსალოდნელი იყო, კოლექტიურმა ნაცმოძრაობამ ახალ ბელადად სალომე ზურაბიშვილი აირჩია. სწორედ ის ქალბატონი, ვისაც შარშანდლამდე მოღალატეს უწოდებდა და უშვერი სიტყვებით აგინებდა. და ეს არჩევანი გააკეთა არა აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტის ავტორიტეტის ან გონებრივი მონაცემების გათვალისწინებით, არამედ სხვა არჩევანის არარსებობისა და საიდუმლო უცხოელი დამრიგებელ-დამფინანსებლების მითითებით.**

შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ საპრეზიდენტო ვადის ოფიციალურად გასვლის შემდეგ (ანუ 29 დეკემბრიდან), უკვე საბოლოოდ ერთ უბირ დედაკაცად ქცეულ ზურაბიშვილს თუნდაც სამკაციანი პოლიტიკური ჯგუფის ლიდერობის არავითარი შანსი აღარ რჩება. ეს იციან ნაცოპოზიციამ, მისმა დასავლელმა „მეგობრებმა“ და, რა თქმა უნდა, იცის თვითონ ზურაბიშვილმაც. ამიტომაცაა, რომ განსაკუთრებით ბოლო პერიოდში მისი „პოლიტიკური მოღვაწეობა“, მაპატიეთ და, მეტისმეტად გულისამრევად გამოიყურება.

**მარტო მისი, თუ არ მეშლება, 22 დეკემბრის განცხადება რად ღირს: მართალია, 29 დეკემბერს პრეზიდენტობის ვადა მეწურება, ახალი პრეზიდენტიც უკვე არჩეულია, მაგრამ მე არავისი და არაფრის არ მეშინია, მარადიულ პრეზიდენტადაც დავრჩები და ჩემი ხალხის (ანუ ნაცოპოზიციის) ბელადობასაც გავაგრძელებ!**

**მოკლედ, საქმე მოსალოცად გვაქვს – ამიერიდან ერთბაშად ორი მარადიული (ერთი – ციხეში, მეორე – ქუჩაში) და ერთიც არჩეული პრეზიდენტი გვეყოლება (ორბელიანების სასახლეში).**

**იმედია, ქალბატონი სალომე და მისი მხარდამჭერები არ მიწყენენ - ვინაიდან ასე თუ ისე, პრეზიდენტობა მაინც წარმავალი თანამდებობაა, აჯობებდა, სალო ბაბოდ ქცეულ გუშინდელ პრეზიდენტს ხელში მშვილდ-ისარი აეღო, ყვარლის ტყეებში გაჭრილიყო და თავი ნადირობის ქალღმერთად (დალი!) გამოეცხადებინა!**

* * *

**ვიდრე ორიოდ სიტყვით ხვალინდელ დღეზე ჩემს აზრს მოგახსენებდეთ, გოდიშის მოხდით, მინდა რამდენიმე რიტორიკული შეკითხვა დავსვა. ვის უჭერთ მხარს, ძვირფასო ქართველო ამომრჩევლებო: მიშა სააკაშვილს, ნახევარი საქართველო ციხეში რომ გაისტუმრა, ათასობით თქვენი თანამემამულე რომ გააღატაკა, ასობით ადამიანს რომ წამებით სული ამოხადა? თუ გვარამიას, დღეს რომ კერპად ქცეულ სალომე ზურაბიშვილს ბინძურად დედა აგინა, მთელ საქართველოს ღვინოში და გორჯომში ჩაუფსა? თუ ხაზარაძეს, ქართველი ხალხის ცინიკური ძარცვით რომ მილიონები იშოვა და დღეს ქართულ არმიას დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდებს? თუ თაღლით გირჩ ჯაფარიძეს, საპარლამენტო ხმები რომ ახალგაზრდობისადმი ეროვნულ არმიაში სამსახურზე უარის თქმით, ნარკოტიკების მოყვანა-მოხმარება-ვაჭრობისა და ნებისმიერი გარყვნილების ცხოვრების წესად აღიარებისკენ მოწოდებით მოიპოვა? იქნებ ლიალკა ხოშტარიას, ათი ათასობით დოლარს „ქართული საქმის კეთებისთვის“ რუსული სპეცსამსახურებიდან რომ იღებს? ან, სულაც, გუგაზ სანიკიძეს, ქუჩის აქციების ორგანიზატორობას თვით მამა-ღმერთს რომ აბრალებს?!**



**შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ საპრეზიდენტო ვადის ოფიციალურად გასვლის შემდეგ (ანუ 29 დეკემბრიდან), უკვე საბოლოოდ ერთ უბირ დედაკაცად ქცეულ ზურაბიშვილს თუნდაც სამკაციანი პოლიტიკური ჯგუფის ლიდერობის არავითარი შანსი აღარ რჩება.**

**რას ვეუბნებით ხვალ ჩვენს შვილებს, რით ვიმართლებთ თავს ნაძირალების ბანდის მხარდაჭერისთვის, ჩვენი წინაპრების მიერ ზღვა სისხლის ფასად დღემდე მოტანილი სამშობლოსა და ქრისტიანული რწმენის ასე ჰაიჰარად გაწირვისთვის?**

* * *

**დღევანდელი ვითარების ანალიზიდან გამომდინარე, საპროტესტო პიკი უკვე გადავლილია. ხვალ დადგება ჟამი ფიქრისა და განსჯისა.**

უფრო ზუსტად, ეს დრო უკვე დადგა და ამის ნათელი მაგალითია ე.წ. „განსხვავებულად მოაზროვნე“ ბიზნესმენების შეხვედრა პრემიერ კობახიძესთან 23 დეკემბერს. შეხვედრა დახურული იყო და მის შედეგებზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ თავად ეს ფაქტია მისასალმებელი – ბიზნესმენებთანაც და საზოგადოების სხვა გავლენიანი ჯგუფების წარმომადგენლებთანაც ამგვარი შეხვედრები აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. დარწმუნებული ვარ, ასეც მოხდება.

უსასრულოდ გაჭიანურებული არაფრის მომცემი არეულობა დამანგრეველია უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის ეკონომიკისთვის და, შესაბამისად, უაღრესად ნეგატიურ გავლენას ახდენს მოქალაქეთა ცხოვრების დონეზე - იწვევს ინფლაციას, საგარეო ვაჭრობის დონისა და ტურისტთა ნაკადის შემცირებას, ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის გაუფასურებას...

როგორც მოსალოდნელი იყო, ნაცოპოზიციისა და მისი მხარდამჭერების თვალში ჯერ „ოჯახური სიწმინდისა“ და მერე „გამჭვირვალობის“ კანონებით სპეკულირებას ყავლი გაუვიდა. მით უფრო, გასაგები მიზეზების გამო ვერ მოხერხდა (არავინ მოინდომა!) ამ კანონების თუნდაც ზერელე შინაარსობრივი განხილვა. სხვათა შორის, ზუსტად იგივე შეიძლება გავიმეოროთ უცხოელი „მეგობრების“ მისამართითაც – უკვე წელიწადნახევარია ისინიც დაუნდობლად აძაგებენ ამ „რუსულ“ კანონებს, მაგრამ მათი „რუსულობის“ დამამტკიცებელი რაიმე არგუმენტი ვერ მოჰყავთ.

ანტისახელისუფლო პროტესტების გასამწვავებლად არც ახლად არჩეული პრეზიდენტის მიხეილ ყაველაშვილის „უდიპლომობა“ გამოდგა. მაინცდამაინც დიდი წარმატება ვერ მოიპოვა „მეგობრების“ მხარდაჭერილმა კარიკატურულმა მოთხოვნებმა ბიძინა ივანიშვილისა და ზოგიერთი ქართველი მაღალჩინოსნის დასანქცირებაზე. რაიმე შესამჩნევი შედეგი არ მოჰყოლია ნაცოპოზიციის „მეგობარი“ უცხოელი პოლიტიკოსების განცხადებებს საქართველოში შექმნილ „უმძიმეს პოლიტიკურ ვითარებაზე“.

ამას ზედ დაერთო ევროსაბჭოს გენერალური მდივნის, ალან ბერსეს ვიზიტი საქართველოში, მისი შეხვედრები უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, მისივე მოზომილი, დიპლომატიური, საკმაოდ ობიექტური განცხადებები საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაზე და ხელისუფლების ქმედებებზე. რაც მთავარია, გამოქვეყნდა ეუთო/ოდირის ოფიციალური დასკვნა საქართველოში ჩატარებული არჩევნების თაობაზე.

მოგეხსენებათ, ეუთო (OSCE) არის ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, ხოლო ოდირი (ODIHR) – მისივე დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისი. მოკლედ, ეუთო/ოდირი არის ჩვენთვის ასე ნანატრი ევროპის ერთი ძალიან მნიშვნელოვანი, ავტორიტეტული ინსტიტუცია. საქართველო ეუთოს წევრია 1992 წლის 24 მარტიდან.

**სწორედ ამ ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ, რომელიც უშუალოდ აკვირდებოდა 25 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს, გამოაქვეყნა საკმაოდ ვრცელი დასკვნა. მასში ნათქვამია, რომ მიუხედავად ხარვეზებისა, საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს. ეს ნიშნავს, რომ არჩევნების შედეგები არის კანონიერი და არ იძლევა მისი გაუქმების, ახალი ან რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნის შესაძლებლობას.**

**ხაზს ვუსვამ - დასკვნაში არც ერთი სიტყვა, ვიმეორებ, არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი გაყალბებაზე არც არჩევნების მიმდინარეობისა და არც მის შემდეგ, ხმების დათვლისას. შესაბამისად, შეუვალი და კატეგორიულია ხელისუფლების პოზიციაც – მომდევნო საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება 2028 წლის ოქტომბრის ბოლო კვირას!**

* * *

**როგორც** მოსალოდნელი იყო, ამ დასკვნაში ქართულმა ოპოზიციამ ამოიკითხა და მაშინვე დროშად აიფრიალა მხოლოდ ეს სიტყვები: „არჩევნების მიმდინარეობას თან ახლდა ხარვეზები“. ამიტომ მისი მოთხოვნაც შეუვალი და კატეგორიულია – მოვითხოვთ ახალ საპარლამენტო არჩევნებს! მეტი დამაჯერებლობისთვის, ამას ემატება მოთხოვნა პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლებაზე. დიახ, სწორედ იმ „პოლიტიკური პატიმრებისა“, პარლამენტის შენობაში შეჭრას და პოლიციელების ცოცხლად დაწვას რომ ლამობდნენ, ქვებს რომ ისროდნენ, რუსთაველის პროსპექტზე კოცონებს აგიზგიზებდნენ და ირგვლივ ყველაფერს არბევდნენ...



**რას ვეუბნებით ხვალ ჩვენს შვილებს, რით ვიმართლებთ თავს ნაძირლების ბანდის მხარდაჭერისთვის, ჩვენი წინაპრების მიერ ზღვა სისხლის ფასად დღემდე მოტანილი სამშობლოსა და ქრისტიანული რწმენის ასე ჰაიჰარად გაწირვისთვის?**

რაც მთავარია, ნაცოპოზიციისა და მისი მხარდამჭერების მოთხოვნას სიტყვითა და საქმით გვერდში უდგანან, გვარებს არ დავასახელებ და, ჩვენი კარგად ნაცნობი ევროპელ-ამერიკელი „მეგობრები“.

გვერდზე გადავდოთ ის უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ნებისმიერი რიგგარეშე არჩევნების ჩატარება მრავალ სიძნელესთან არის დაკავშირებული, მოითხოვს შესაბამის კანონებში, მათ შორის, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას და დიდ დროს. ასე რომ, დაუყოვნებლივ, ანუ იანვრის ბოლომდე ასეთი გადაწყვეტილების მიღება პრაქტიკულად, გამორიცხულია.

* * *

**მოდი,** ძალიან მოკლედ, ის ვთქვათ, რა შეიძლება მოხდეს რიგგარეშე არჩევნებში კოლექტიური ნაცმოძრაობის, ან „ოცნების“ გამარჯვების შემთხვევაში.

**მაშ ასე, დაინიშნა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები. მასში კოლექტიური ნაცმოძრაობის გამარჯვება „ქართული ოცნების“ კრახს, მის მორალურ და ფიზიკურ განადგურებას ნიშნავს. ამიტომ „ოცნება“ სრული გამარჯვების, პარლამენტში კონსტიტუციური უმრავლესობის მოსაპოვებლად წინასაარჩევნო პერიოდში გამოიყენებს კანონით გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ ყველა შესაძლებლობას – ფინანსურსაც, ადმინისტრაციულსაც, ძალადობრივსაც. გამარჯვების შემდეგ კი დაუყოვნებლივ დაიწყებს ოქტომბრის წინასაარჩევნო დაპირების რეალიზაციას – „დაუძინებელი“ ოპონენტების, მათი მომხრეების თავიდან მოშორებას სასტიკი ფორმებით. გვინდა თუ არ გვინდა ეს, უნდა თუ არ უნდა ეს თვითონ „ოცნებას“, საბოლოოდ მივიღებთ დემოკრატიით შენიღბულ დიქტატორულ მმართველობას!**

**ამას ვამბობ „ოცნებისადმი“ ჩემი პატივისცემის მიუხედავად. უფრო კონკრეტულად, ამას მე კი არ ვამბობ, უბრალოდ, ვიმეორებ ისტორიის გარდუვალ კანონზომიერებას.**

ზუსტად იგივე, ოღონდ გაცილებით სასტიკ ფორმებში განმეორდება არჩევნებში „ნაცმოძრაობის“ გამარჯვების შემთხვევაში. ეს სულაც არ გახლავთ გამორიცხული, ვინაიდან კოლექტიური ნაცების დამხმარედ ადგილობრივი ბიზნეს-ჯგუფების გარდა, „ძლევამოსილი“ უცხოელი საიდუმლო მფარველებიც მოგვევლინებიან. ხელისუფლების სათავეში სააკაშვილისა და მისი შურისძიების დაუძლეველი წყურვილით აღტყინებული ნაცხროვის აღზევება პირველი დღიდანვე აბსოლუტურად უპროგნოზო ანგარიშსწორების თარეშს ნიშნავს. დასასჯელთა სიები ხომ უკვე შედგენილი აქვთ: ამით ხომ კარგა ხანია სააკაშვილიც იმუქრება, ბოკუჩავაც, ხოშტარიაც, ხაზარაძეც, ჯაფარიძეც, ხაზეიშვილიც და თვით ეკა ხერხეულიძეც კი.

* * *

**ნაცმოძრაობის ყიჟინა დემოკრატიულობაზე სრული ბლეფია – მისი გამარჯვების შემთხვევაში, კოლექტიური ნაცმოძრაობის უსასტიკესი შურისმაძიებლური დიქტატურა გარდაუვალია. ჩვენი დღევანდელი უცხოელი „მეგობრების“ სრული დუმილიც გარანტირებულია!!!**

დაბოლოს, ერთი რიგგარეშე უმორჩილესი თხოვნა რიგგარეშე არჩევნების აუცილებლობის მამტკიცებელ პოლიტიკოსებს – დავუფიქრდეთ ისტორიის კანონზომიერებებს, იგი ბევრი საიდუმლოს გაცხადებაში გვეხმარება.



**თეიმურაზ ქორიძე**
24. 12. 2024

# მელიებს რაც ესიზმრებოდათ!..



## ზაალ ანჯაფარიძე

## ...საერთაშორისო აქტორებს ჩართავენ, რომ საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლა მოახდინონ და დაანიშნინონ ხელახალი არჩევნები!..

**ეუთო/ოდირმა საქართველოს საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, საბოლოო დასკვნა გამოაქვეყნა. ორივე მხარემ, ხელისუფლების წარმომადგენლებმა და ოპოზიციამ, დასკვნა თავისებურად წაიკითხა – ერთი მხარე ამბობს, რომ ოპოზიციური სპექტრის ყველა ბრალდება გაბათილდა და საერთო ჯამში, დასკვნა დადებითია, ხოლო მეორე მხარე თვლის, რომ ეუთო/ოდირის დასკვნა საქართველოში ხელახალი არჩევნების დანიშვნის საფუძველი გახდება. ამის ფონზე, რთულია პროგნოზის გაკეთება, რა მოხდება და რამდენად არის შესაძლებელი, სწორედ ეს დასკვნა იყოს იმის წინაპირობა, რომ ქვეყანაში ხელახალი არჩევნები ჩატარდეს.**

**ანალიტიკოსი ზაალ ანჯაფარიძე** For.ge-სთან ინტერვიუში ამბობს, რომ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, ეუთო/ოდირის დასკვნის მიხედვით, საქართველოში მოსახლეობის რა ნაწილი მიიჩნევს არჩევნებს არალეგიტიმურად. მისი შეფასებით, ვიდრე ეუთო-ოდირი მის საბოლოო დასკვნას გამოაქვეყნებდა, მას ეს დოკუმენტი წინასწარ ექნებოდა გაგზავნილი ევროსტრუქტურებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც.

**„ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, ეუთო-ოდირის დასკვნას რამდენად მოჰყვება ფართო, სახალხო პროტესტი იმათი მხრიდან, ვინც ამ დასკვნაში ხედავს უარყოფითს და თვლის, რომ ამ დასკვნით არ შეიძლება არჩევნები იყოს აღიარებული. ეუთო-ოდირი, თავისი მიგნებებით, რაც მან გამოაქვეყნა არჩევნებთან დაკავშირებით, თვითონ აძლევს ინფორმაციას განსჯისათვის, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო აქტორებს, რომ მათ შეაფასონ ამ არჩევნების ლეგიტიმურობა ან არალეგიტიმურობა – იქიდან გამომდინარე, საერთაშორისო აქტორები რამდენად ჩათვლიან ეუთო-ოდირის დასკვნას ლეგიტიმურად. ამასთან, ჩვენი საზოგადოების რა ნაწილი ჩათვლის ამ დასკვნას იმის ინდიკატორად, რომ იყო თავისუფალი**



**და კონკურენტული გარემო – ამაზე იქნება დამოკიდებული შემდგომი მოვლენები.**

**არჩევნებს ლეგიტიმაციას ერთი მხრივ აძლევს ამომრჩეველი, მეორე მხრივ კი საერთაშორისო საზოგადოება იმის მიხედვით, ცნობს თუ არა არჩევნების შედეგად მოსული მთავრობა. ჩვენ გვექნება საშუალება ვიხილოთ საერთაშორისო წრეების რეაქციები და ამ დღეებში ვიხილავთ საზოგადოების რა ნაწილი გამოვა საპროტესტო აქციებზე.**

**დარწმუნებული ვარ, ვიდრე ეუთო-ოდირი მის საბოლოო დასკვნას ჩვენს არჩევნებთან დაკავშირებით საჯაროდ გამოაქვეყნებდა, მას ეს დოკუმენტი ექნებოდა წინასწარ დაგზავნილი შესაბამის ევროსტრუქტურებში, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებშიც – ეუთო-ოდირის დასკვნის გამოქვეყნებამდე შედგა ჩვენთან ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის ვიზიტი, რამაც ჩვენი ოპოზიცია გაანაწყენა. კითხვას ვსვამ, ხომ არ იყო ეს ვიზიტი განპირობებული იმით, რომ ვიზიტამდე მან წაიკითხა ეს ანგარიში და საჭიროდ ჩათვალა, რომ ჩამოსულიყო საქართველოში და შეხვედროდა არჩევნის შედეგად მოსულ ხელისუფლებას, რაც გარკვეულწილად იყო ხელისუფლების ლეგიტიმაციის აღიარება?!“,** – განაცხადა ზაალ ანჯაფარიძემ.

პარტიებმა: „ძლიერი საქართველოსთვის“ „ერთიანობა ნაციონალური მოძრაობა“, „კოალიცია ცვლილებებისთვის“ და პარტია „გახარია საქართველოსთვის“ ეუთო-ოდირის დასკვნასთან დაკავშირებით ერთობლივი განცხადება გაავრცელეს. როგორც ოპოზიციური გაერთიანებების განცხადებაშია აღნიშნული, ეუთო/ოდირის დასკვნის თანახმად, 26 ოქტომბრის არჩევნებმა ვერ უზრუნველყო მოქალაქეების კონსტიტუციური საარჩევნო უფლების რეალიზაცია, შესაბამისად, ეუთო/ოდირის დასკვნა ხელახალი არჩევნების საფუძველია.

ხელახალი არჩევნების ჩატარების საკითხს გამოეხმაურნენ „ქართული ოცნების“ ლიდერებიც. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ ხელახალი არჩევნების დანიშვნის საფუძველი არ არსებობს.

რაც შეეხება ხელახალ არჩევნებს, იგი შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცესკო ან სასამართლო, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლო არჩევნების შედეგებს გააბათილებს. თქვენ იცით, რომ ცესკომ არჩევნების შედეგები შეაჯამა, სასამართლოში ყველა საჩივარი განხილული იქნა. საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა თავად სალომე ზურაბიშვილმა ოპოზიციურ პარტიებთან და „ენჯეოებთან“ ერთად. საკონსტიტუციო სასამართლომაც დაადასტურა არჩევნების ლეგიტიმურობა. შესაბამისად, ჩვენი კონსტიტუციის და კანონმდებლობის თანახმად ხელახალი არჩევნების დანიშვნის საფუძველი არ არსებობს.

რაც შეეხება მორიგ არჩევნებს, იგი ინიშნება მას შემდეგ, რაც პარლამენტს უფლებამოსილების 4-წლიანი ვადა ამოეწურება. ცხადია, რომ ეს საფუძველიც არ არსებობს. რიგგარეშე არჩევნები კონსტიტუციის თანახმად ინიშნება ერთადერთ შემთხვევაში, როდესაც პარლამენტი ნდობას მთავრობის შემადგენლობას არ უცხადებს. როგორც მოგეხსენებათ, პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა მთავრობის შემადგენლობას, შესაბამისად, ეს მესამე საფუძველიც არ არის სახეზე.

აქედან გამომდინარე, პრეზიდენტის შესაბამისი გადაწყვეტილება, განცხადება იქნებოდა სრულიად კომიკური. თუმცა კომიკურთან ერთად ეს იქნებოდა სისხლის სამართლის დანაშაულიც. სისხლის სამართლის კოდექსში არის შესაბამისი ჩანაწერები, რომლებიც ასეთი ქმედებისთვის ითვალისწინებს მრავალწლიან სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით.

ზაალ ანჯაფარიძე ამბობს, რომ ბევრი რამ გამოჩნდება 2025 წლის 20 იანვრის შემდეგ, დონალდ ტრამპის ადმინისტრაცია რამდენად აღიარებს საქართველოს საპარლამენტო არჩევნებს.

**„ხელახალი არჩევნების ჩატარება დამოკიდებული იქნება აქციების განგრძობადობაზე, ინტენსივობაზე და აქციაში ჩართული ადამიანების რაოდენობაზე, ასევე იმაზე, თუ რამდენად ჰპოვებს ეს აქციები მხარდაჭერას ქვეყნის ფარგლებს გარეთ – დასავლეთი ცდილობს ამ აქციებს სული შთაბეროს და მხარდაჭერა გამოუცხადოს. ამასთან, მნიშვნელოვანია სახელმწიფო სტრუქტურები რამდენად გაუძლებენ ამ ზეწოლას და რამდენად ლოიალური დარჩებიან ამჟამინდელი ხელისუფლების მიმართ. როგორც წესი, სახელმწიფო სტრუქტურების მდგრადობაზე და ლოიალობაზე დიდწილად არის დამოკიდებული თავად არჩევნების შედეგად მოსული ხელისუფლების სიცოცხლისუნარიანობა. ვფიქრობ, რომ აქტიურად მოხდება საერთაშორისო აქტორების ჩართვა, რომ არსებულ ხელისუფლებაზე ზეწოლა მოახდინონ და დაანიშნინონ ხელახალი არჩევნები. ვნახოთ, ხელისუფლება რამდენად გაუძლებს ამას. ყველაფერი გამოჩნდება 20 იანვრის შემდეგ, რადგან გავიგებთ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, ანუ ტრამპის ადმინისტრაცია რამდენად აღიარებს ამ არჩევნებს. თუ მათგან წამოვიდა იმის ნიშნები, რომ ეს არჩევნები მათი მხრიდან არის აღიარებული, ვფიქრობ, რომ ევროპაშიც მოხდება პოზიციების კორექტირება“,** – აღნიშნა ანჯაფარიძემ.

**ნიკო ჩოხელი**

## საქართველოში რეგისტრირებულ დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებს „ობჩა“ დაემატა

**ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების რაოდენობა 30-მდე გაიზარდა, რაც ქართული ღვინის მრავალფეროვნებაზე მიუთითებს და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი პოპულარიზაციისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდისთვის. გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის მოთხოვნით, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტს“ შპს „იმერული ღვინის ასოციაციამ“ მიმართა. ამის შესახებ ინფორმაციას ღვინის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.**



მათი ცნობით, ღვინოების წარმოების სპეციფიკაციის მომზადებასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებულ სხვა ტექნიკურ საკითხებში ღვინის ეროვნული სააგენტო „ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელების სისტემის განვითარებისა და ქართული ღვინის აღნიშვნების დაცვის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში მონაწილეობდა.

„ობჩა“ მშრალი ღვინოა, რომელიც შეიძლება იყოს ქარვისფერი ან წითელი. მიკროზონა მდებარეობს ბაღდათის მუნიციპალიტეტში და მოიცავს ქალაქ ბაღდათსა და სოფლებს: პირველი ობჩა, მეორე ობჩა, დიმი, როკითი, ფერსათი, რომელთა სიმაღლე ზღვის დონიდან 120-420 მეტრის ფარგლებშია.

ღვინო ქარვისფერი „ობჩა“ შეიძლება დამზადდეს მხოლოდ ობჩის მიკროზონაში მოწეული ცოლიკოურის ჯიშის ყურძნიდან. დასაშვებია ციცქას და/ან კრახუნას ჯიშის ყურძნის გამოყენებაც 15 %-ის ფარგლებში.

ღვინო წითელი „ობჩა“ შეიძლება დამზადდეს მხოლოდ ობჩის მიკროზონაში მოწეული ოცხანური საფერეს ჯიშის ყურძნიდან და დაუშვებელია სხვა ჯიშების გამოყენება.

ობჩის ნიადაგის მორფოლოგია და მიკროზონის კლიმატი, აისახება ღვინო „ობჩას“ მაღალ ხარისხისაზე.

ამ ეტაპზე, საქართველოში დარეგისტრირებულია დაცული ადგილწარმოშობის დასახელების შემდეგი ღვინოები: „ქინძმარაული“, „მანავი“, „კახეთი“, „ნაფარეული“, „თელიანი“, „მუკუზანი“, „წინანდალი“, „ახაშენი“, „გურჯაანი“, „ხვანჭკარა“, „ატენი“, „სვირი“, „ვაზისუბანი“, „კარდენახი“, „ტიბაანი“, „ტვიში“, „ყვარელი“, „კოტეხი“, „ხაშმის საფერავი“, „ბოლნისი“, „სალხინოს ოჯალეში“, „ახმეტა“, „წარაფი“, „ახოები“, „მაღრაანის ქისი“, „ოყურეშის უსახელოური“, „ზეგაანი“, „ასურეთული შალა“, „ოკამი და ობჩა“, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

## საქპატენტმა 5 ახალ ქართულ პროდუქტს ადგილწარმოშობის დასახელების სტატუსი მიანიჭა

**საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა – „საქპატენტმა“ 5 უნიკალურ ქართულ პროდუქტს გეოგრაფიული აღნიშვნისა და ადგილწარმოშობის დასახელების სტატუსი მიანიჭა. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს განაცხადის საფუძველზე, გორის ვაშლი, სვანური მარილი, კახური შაშხი და ბოლნისის ახალი კარტოფილი გეოგრაფიულ აღნიშვნებად, ხოლო, შპს იმერული ღვინის ასოციაციის მიერ შემოტანილი განაცხადით, ობჩის ღვინო ადგილწარმოშობის დასახელებად დარეგისტრირდა.**




საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების რეგისტრაცია საქპატენტის უფლებამოსილებას წარმოადგენს. ეს სტატუსები ენიჭება განსაკუთრებულ ქართულ პროდუქტებს. გეოგრაფიული აღნიშვნა და ადგილწარმოშობის დასახელება მომხმარებელს აწვდის ინფორმაციას, კონკრეტული პროდუქტის წარმომავლობასა და იმ უნიკალურ მახასიათებლებზე, რომლებიც დაკავშირებულია მისი წარმოშობის ადგილთან, იქ არსებულ გარემოპირობებთან და, ასევე, ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებულ წარმოების ტრადიციულ ცოდნასთან, რაც, საბოლოო ჯამში, ხდის თითოეულ ასეთ პროდუქტს გამორჩეულსა და უნიკალურს.

უახლოეს მომავალში საქპატენტი მიმართავს ევროკავშირის ინტელექტუალური გეოგრაფიული აღნიშვნისა და ადგილწარმოშობის დასახელების სტატუსის მინიჭება უზრუნველყოფს პროდუქტების დაცვასა და კონკურენტუნარიანობას ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე, რაც ქმნის მყარ საფუძველს სოფლის მეურნეობისა და ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის.



## ქუთაისელი მეხანძრე-მაშველები თბილისში გადამზადებას გადიან

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის სახანძრო – სამაშველო სამსახურის 32 მეხანძრე-მაშველი თბილისში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სასწავლო ცენტრის ბაზაზე ერთთვიან გადამზადებას გადის. საქართველოს აეროპორტების გაერთიანების ინფორმაციით, სწავლება მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ნაწილს. 30-საათიანი პროგრამის განმავლობაში, აეროპორტის მეხანძრე-მაშველებს უტარდებათ სპეციალური პრაქტიკული მომზადება, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ხანძრის ქრობის სხვადასხვა ტექნიკა, დაკვამლიანებიდან დაზარალებულის უსაფრთხოდ გამოყვანა და მაღალ ტემპერატურასთან ბრძოლა.

ქუთაისის აეროპორტის მეხანძრე-მაშველების გადამზადების პროცესს დღეს აეროპორტების გაერთიანების გენერალური დირექტორი **ირაკლი ქარქაშაძე** დაესწრო.

**„შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სასწავლო ცენტრში, საქართველოს აეროპორტების გაერთიანების სახანძრო-სამაშველო სამსახურის თანამშრომლები სამაშველო სამსახურის ყველა კომპეტენციისა და დისციპლინის მიმართულებით ინტენსიურ სწავლებას გადიან. მსურს მადლობა გადავუხადო უწყების ხელმძღვანელობას თანამშრომლობისთვის და პარტნიორობისთვის. საქართველოს აეროპორტების გაერთიანებისთვის მნიშვნელოვანია ჩვენი სამაშველო სამსახურები იყვნენ მუდმივ მზადყოფნაში ნებისმიერი კრიზისული სიტუაციის მართვისთვის“,** – განაცხადა ირაკლი ქარქაშაძემ.

**„25 ნოემბრიდან 27 დეკემბრის ჩათვლით, სასწავლო კურსის ფარგლებში მეხანძრე-მაშველები ხანძრისა და დაკვამლიანების დროს ადამიანების ძებნასა და დახმარებას, უსაფრთხოების წესების დაცვას და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სწორად გამოყენებას შეისწავლიან. ასევე, დაღვრილი საწვავის სპეციალური ქაფით ჩაქრობას და მაღალი ტემპერატურის პირობებში (600-700°C) ხანძრის ლიკვიდაციას, რაც სპეციალურად მოწყობილ სიმხურვალის ოთახში ჩატარდება. სასწავლო პროგრამა მეხანძრე-მაშველებს საშუალებას მისცემს პრაქტიკული გამოცდილება მიიღონ და თავიანთი უნარები გაიუმჯობესონ“,** – ნათქვამია ინფორმაციაში.

## ჩინელები საქართველოს ეკოტურისტულ პოტენციალს ეცნობიან

### WeChat-ში, ჩინეთის ყველაზე პოპულარულ სოციალური მედიის პლატფორმაზე, დაცული ტერიტორიების სააგენტოს ოფიციალური ანგარიში გაიხსნა




**დაცული ტერიტორიების სააგენტომ პოპულარულ ჩინურ პლატფორმა WeChat-ზე ანგარიში გახსნა, რათა საქართველოს ეკოტურისტული პოტენციალი ჩინელ მომხმარებლებს გააცნოს, – ამის შესახებ ინფორმაციას დაცული ტერიტორიების სააგენტო ავრცელებს.**

მათივე ცნობით, **WeChat**, რომელიც 1.3 მილიარდზე მეტ აქტიურ მომხმარებელს აერთიანებს, მრავალფუნქციური პლატფორმაა და კომუნიკაციის, სერვისებისა და მარკეტინგის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. ახალი ანგარიშის საშუალებით, სააგენტოს შეუძლია მარტივად და ეფექტიანად გაავრცელოს ინფორმაცია საქართველოს უნიკალური ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების შესახებ, გააუმჯობესოს ტურისტებთან და სააგენტოებთან კომუნიკაცია და გააღრმაოს ცნობადობა ჩინურ ბაზარზე.

აღსანიშნავია, რომ **WeChat Facebook**-ის მსგავსი სოციალური პლატფორმაა, რომელიც ჩინეთში ფართოდ არის გავრცელებული და ჩინელი მოსახლეობის უმრავლესობისთვის ძირითად საკომუნიკაციო ქსელს წარმოადგენს.

**WeChat**-ის ანგარიშის შექმნა ხელს შეუწყობს საქართველოს დაცული ტერიტორიების უნიკალური მიმართულების პოპულარიზაციას, ჩინელი ტურისტების დაინტერესებას და შესაბამისად, ქვეყანაში ტურისტების რაოდენობის ზრდას.

## არაკაცი თაღლითები!!!

### ბრალდებულები 53 მოქალაქის კუთვნილ 1 041 336 ლარს მოტყუებით დაეუფლნენ



**საქართველოს პროკურატურამ, ორგანიზებული თაღლითური ჯგუფის მიერ მოქალაქეთა დიდი ოდენობით თანხების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე, ოთხ პირს ბრალდება წარუდგინა. ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.**

“შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ორგანიზებული თაღლითური ჯგუფის წევრებმა მოქალაქეთა დიდი ოდენობით თანხების თაღლითურად დაუფლების მიზნით დანაშაულებრივი სქემა შეიმუშავეს. თაღლითური ჯგუფის წევრები უკავშირდებოდნენ მოქალაქეებს, თითქოს იყვნენ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლები და ატყობინებდნენ, რომ მათი ოჯახის წევრი ავარიის შედეგად საავადმყოფოში იმყოფებოდა. თაღლითური ჯგუფის წევრები უხსნიდნენ მათ, რომ ავარია გამოწვეული იყო მათი ოჯახის წევრის ბრალეულობით და პასუხისმგებლობის არიდების და სიცოცხლის შესანარჩუნებლად საჭირო იყო ნაღდი ფულის გაგზავნა. მას შემდეგ, რაც მოქალაქეებს დაითანხმებდნენ თანხის გადაცემაზე, დაზარალებულებთან კურიერის სტატუსით მიდიოდნენ და დაზარალებულთა კუთვნილ თანხებს ეუფლებოდნენ.

ბრალდებულები წინასწარ შემუშავებული დანაშაულებრივი გეგმის შესაბამისად, 53 მოქალაქის კუთვნილ 1 041 336 ლარს მოტყუებით დაეუფლნენ.

დაკავებულ პირებს ბრალდება ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დიდი ოდენობით თაღლითობის ფაქტზე წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 7-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლომ ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო აგრძელებს გამოძიებას დანაშაულის მონაწილე სხვა პირების დადგენა-გამოვლენის და სხვა დანაშაულებრივი ეპიზოდების დადგენის მიზნით, რის შემდგომაც შესაძლოა დაზარალებულთა წრე გაიზარდოს.

საქართველოს პროკურატურა მოუწოდებს მოქალაქეებს მსგავსი შინაარსის სატელეფონო ზარებთან მიმართებით გამოიჩინონ სიფრთხილე და ანალოგიური ქმედების არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მიმართონ სამართალდამცავ ორგანოებს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.



# 90 წლის დიდოსტატი, რომელსაც არასოდეს დაუსვენია!

**ქართული არქიტექტურის გამოჩენილ ოსტატს, ვახტანგ დავითაიას ვულოცავ 90 წლის იუბილეს, მისი შემოქმედება ღირებული შენაძენია ქართული კულტურისთვის.**

**ირაკლი კობახიძე**

**ძალზედ ბევრი ადამიანი გამახსენდება კეთილად კულტურის სამინისტროში მუშაობის პერიოდიდან. მათ შორის, გამოჩენილი ქართველი არქიტექტორი ვახტანგ დავითაია ერთ-ერთი პირველი იქნება ყოველთვის. მას დღეს 90 წელი შეუსრულდა. მისი საქმე უკვდავია, ის მოღვაწეა. მოღვაწეა, რადგან არასოდეს ისვენებს, როცა რომელიმე ქართულ პროექტს ან იდეას უჭირს; ის ამ დროს შრომობს, ხაზავს, წერს, დადის, ხსნის, მწარედ საყვედურობს, თბილად აქებს, ბრაზობს, ხარობს და ა.შ. ის ყოველი შეხვედრისას მასწავლებელიცაა მისდა უნებურად.**

**გილოცავთ, ბატონო ვახტანგ, დიდ იუბილეს! დღეგრძელობას გისურვებთ! მადლობას გიხდით ნდობისა და კეთილგანწყობისათვის!**

**თეა წულუკიანი**

# ყოველი ბიზნესმენი ქართულად უნდა საუბრობდეს!

**პრემიერმა გამოთქვა მზადყოფნა, დამატებით შეხვდეს ბიზნესის წარმომადგენლებს, რომლებსაც ხელისუფლების კურსთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიციები აქვთ**



**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, პირველ ვიცე-პრემიერთან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ლევან დავითაშვილთან ერთად, მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები განიხილეს.**

საუბარი შეეხო მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით მთავრობის ხედვას და სამომავლო პრიორიტეტებს. პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა ქვეყნის ევროპული გზის ერთგულია და ამაზე მეტყველებს ევროინტეგრაციის კუთხით დღემდე მიღწეული პროგრესი.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. პრემიერ-მინისტრმა ბიზნესისთვის აქტუალურ ყველა კითხვას უპასუხა. მთავრობის მეთაურმა გამოთქვა მზადყოფნა, დამატებით შეხვდეს ბიზნესის წარმომადგენლებს, რომლებსაც ხელისუფლების კურსთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიციები აქვთ.

**მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას ბიზნესის 100-ზე მეტი წარმომადგენელი ესწრებოდა.**

# გილოცავთ, საპატიო ოზურგეთელებო!

**ოზურგეთში, საახალწლო ღონისძიების ფარგლებში, დაჯილდოვდნენ საპატიო ოზურგეთელები – საპატიო მოქალაქის სტატუსი ათ ადამიანს მიენიჭა.**

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ცენტრალურ მოედანზე საახალწლო ღონისძიება გაიმართა, რომელსაც გურიის დელეგატი საქართველოს პარლამენტში – ვასილ ჩიგოგიძე, გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული – გიორგი ურუშაძე, ოზურგეთის მერი – ავთანდილ თალაკვაძე, საკრებულოს თავმჯდომარე – დავით დარჩია და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.



„ოზურგეთის საპატიო მოქალაქის სტატუსი კიდევ ათ გამორჩეულ ადამიანს მივანიჭეთ. მოხარული ვარ და მადლობას ვუხდი საქველმოქმედო ფონდ „ქართული გალობის" დამფუძნებელს, ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილს, რომელმაც ჩვენი ქალაქის საპატიო მოქალაქეებს ჯილდოს სახით 5 000 – 5 000 ლარი გადასცა. მადლობა თითოეულ თქვენგანს გაწეული ღვაწლისთვის! გისურვებთ ჯანმრთელობას და კეთილდღეობას", – აღნიშნა ავთანდილ თალაკვაძემ.

წლევანდელი ნომინანტები გახდნენ:

**ილია გეგიაშვილი** – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე. ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის არაერთი მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში შეტანილი წვლილისთვის;

**სერგო ზაქარიაძე** – მეხანძრე-მაშველი. სამაშველო ოპერაციებში გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებული სამსახურისთვის; მის სახელს უკავშირდება არაერთი გადარჩენილი სიცოცხლე;

**მიხეილ დარჩია** – შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელი. მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის საქმეში, გამორჩეული შრომისმოყვარეობის და პასუხისმგებლიანი დამოკიდებულებისთვის;

**ნონა კილაძე** – ექიმი. თანამოქალაქეთა სამედიცინო დახმარების პროცესში გაწეული სამუშაოსთვის, მოქალაქეთა სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვისთვის;

**ამირან ჯანელიძე** – „ბლექ სი არენას" და ფილარმონიის სტრატეგიული განვითარებისა და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე. მისი მხარდაჭერით, ოზურგეთი მოინიშნა გასართობი ინდუსტრიის მსოფლიო რუკაზე. დაგეგმა და განახორციელა ციფრული მარკეტინგული კამპანია, რომელიც გასცდა საქართველოს საზღვრებს და მოიცვა ათამდე მეზობელი ქვეყნის აუდიტორია;

**ომისხან (ომარ) ურუშაძე** – ალ. წუწუნავას სახელობის დრამატული თეატრის მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი და ღირსების ორდენის კავალერი. კლასიკური როლების უბადლო შესრულების და ხელოვნების სფეროში, მრავალწლიანი გამორჩეული მოღვაწეობისთვის;

**ანა კოხრეიძე** – სოციალური მუშაკი, მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღმზრდელი. ბავშვებზე ზრუნვასა და ბენეფიციარების რესოციალიზაციაში შეტანილი წვლილისთვის. ანა დედობას უწევს რვა ბენეფიციარს, გამოირჩევა საქმისადმი სიყვარულით და განსაკუთრებული პასუხისმგებლობით;

**მანანა ლომაძე** – მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების თანამშრომელი, ისტორიკოსი, მეცნიერი და ღირსების ორდენის მფლობელი. ძველი ოზურგეთის დაკარგული დღესასწაულის „ალეგრობა" აღდგენა-გაცოცხლებისთვის;

**რუსუდან ფაკიძე** – ოზურგეთის ბუნებათსარგებლობის ინსტიტუტის ქიმიის კათედრის ხელმძღვანელი. გამოქვეყნებული აქვს ორასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და მიღებული აქვს არაერთი სამადლობელო სიგელი და ჯილდო;

**ამირან გირკელიძე** – ოზურგეთის მერიის თანამშრომელი. საჯარო სექტორში მრავალწლიანი თავდაუზოგავი მუშაობისა და პროფესიონალიზმისთვის.

# ახალგაზრდა ილუსტრატორების კონკურსის გამარჯვებულები

**დასრულდა მწერალთა სახლის მიერ გამოცხადებული ახალგაზრდა ილუსტრატორების კონკურსი.**

მწერალთა სახლის ინფორმაციით, ჟიურიმ ექვსი გამარჯვებული გამოავლინა. ესენია:

პირველი ადგილი: **მარიამ ყეინაშვილი, ლუკა კიკნაველიძე;**

მეორე ადგილი: **ანა გვარჯალაძე, ელენე სანაია;**

მესამე ადგილი: **სალომე ბენდელიანი, ნინო რამიშვილი.**




# „ტონუსის" მონაგარი

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოცურავეთა გუნდმა „ტონუსმა" ზამთრის ღია ჩემპიონატში 7 ოქრო, 8 ვერცხლი და 7 ბრინჯაო მოიპოვა**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საცურაო აუზის – „წყალთა სახეობის ცენტრი - ტონუსი", მოცურავეთა გუნდმა საქართველოს ზამთრის ღია ჩემპიონატში, მოკლე წყალზე (25მ. აუზი) 7 ოქროს, 8 ვერცხლის და 7 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ამის შესახებ ინფორმაციას სტუ ავრცელებს.**

საქართველოს ზამთრის ღია ჩემპიონატი ცურვაში თბილისის გლდანის საცურაო აუზზე ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა „წყალთა სახეობის ცენტრი – ტონუსის", აჭარის, რუსთავის, გორის, ქარელის, მცხეთის, გლდანის, თემქის, ბლექსის, ელიტის, აქვაცენტრის, სფლეშის, ნეპტუნის გუნდების 190-მა წამყვანმა სპორტსმენმა მიიღეს. ტურნირი როგორც ღია ასაკობრივ ჯგუფში, ისე 2009-2010 წლებში დაბადებულ ვაჟებსა და 2010-2011 წლებში დაბადებულ გოგონებში ჩატარდა.

სტუ-ის სტუდენტური სერვისების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სპორტის მიმართულების ხელმძღვანელი, არჩილ იოსელიანი მორიგ გამარჯვებას ულოცავს „ტონუსის" მოცურავეთა გუნდს და აცხადებს, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ყველა პირობებს ქმნის, რათა ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესი ნორმა გახდეს.

„თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ თითოეული გაცურვა მაყურებელს ბოლო წამამდე აღელვებდა. პროგრამა იყო ძალიან დატვირთული და საინტერესო, ტურნირი ჩვენი გუნდისთვის წარმატებული აღმოჩნდა. ამ ჩემპიონატმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ცურვა ცოცხალია, ვითარდება და რაც მთავარია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სპორტის ამ და სხვა სახეობების განვითარებით ხელს უწყობს ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას. გამარჯვებას ვულოცავ თითოეულ მოცურავეს და წარმატებებს ვუსურვებ", – აცხადებს არჩილ იოსელიანი.

სტუ-ის ინფორმაციით, „ტონუსის" გუნდის წევრებმა შემდეგი ჯილდოები მოიპოვეს: მამუკა შენგელია – 2 ვერცხლი, 2 ბრინჯაო, 2 ოქრო; სალი შჩერბაევა – 1 ოქრო, 3 ვერცხლი, 1 ბრინჯაო; ალექსი ჯიქიძე – 1 ოქრო, 2 ვერცხლი; სანდრო ქვილორია – 2 ბრინჯაო; აკაკი მღებრიშვილი – 3 ოქრო; ლუკა მარწყვიშვილი – 1 ვერცხლი, 2 ბრინჯაო. ასევე, 4X100 მ. თ/ყ ესტაფეტაში „ტონუსის" გუნდმა (შემადგენლობით – მამუკა შენგელია, საბა ბენდელიანი, სანდრო ქვილორია და ალექსი ჯიქიძე) მოიპოვა ვერცხლის მედლები, ხოლო 4X100 მ. კროლის ესტაფეტაში (შემადგენლობით – მამუკა შენგელია, საბა ბენდელიანი, სანდრო ქვილორია და ალექსი ჯიქიძე) – ოქროს მედლები.

## დონალდ ტრამპი:

## პრეზიდენტობის პირველივე დღეს, კალმის ერთი მოსმით შევწყვეტ ტრანსგენდერულ სიგიჟეს...



**ასეთი განცხადება აშშ-ის ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა არიზონას შტატის ქალაქ ფინიქსში, ახალგაზრდულ კონფერენციაზე, Turning Point USA, გამოსვლის დროს გააკეთა.**

აშშ-ის ახლა არჩეულმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა პირობა დადო, რომ პრეზიდენტობის პირველივე დღეს, კალმის ერთი მოსმით, ბოლოს მოუღებს ტრანსგენდერულ სიგიჟეს.

„მე მოვაწერ ხელს ბრძანებულებას ბავშვების სექსუალური დასახიჩრების შეწყვეტის შესახებ, უარს ვიტყვი ტრანსგენდერულ პოლიტიკაზე არმიაში, დაწყებით და საშუალო და უფროს კლასებში“, – განაცხადა ტრამპმა.

მისი თქმით, „აშშ-ის მთავრობა ოფიციალურად აღიარებს მხოლოდ ორ სქესს, მამრობითს და მდედრობითს“ და არ იქნება დაშვებული მამაკაცების ქალთა სპორტში ასპარეზობა.

## ვიქტორ ორბანი:

## ევროპამ უკრაინაში ომი წააგო



**უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა უნგრულ მედიასთან ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ ევროპამ უკრაინაში ომი წააგო. ინფორმაციას უნგრეთის პრემიერის პრესსპიკერი ზოლტან კოვაჩი სოციალურ ქსელ X-ში ავრცელებს.**

„ეს ომი ევროკავშირმა წააგო“, – ციტირებს კოვაჩი ორბანს. უნგრეთის პრემიერმა აგრეთვე დასძინა, რომ ბრიუსელის ნარატივსა და ბრძოლის ველზე არსებულ რეალობას შორის კავშირის გაწყვეტილია.

უნგრეთის პრემიერის მტკიცებით, ყველაფერი შეიცვლება მას შემდეგ, რაც აშშ-ის არჩეული პრეზიდენტი დონალდ ტრამპი მოვალეობის შესრულებას შეუდგება.

„ბრიუსელი ერთი ნაბიჯით უკან არის; მსოფლიო შეიცვლება მას შემდეგ, რაც ტრამპი ოფისს დაიკავებს, და პატრიოტები გაძლიერდებიან და მთელ დასავლურ სამყაროს გადააკეთებენ“, – თქვა ორბანმა.

## ბორის პისტორიუსი:

## 2029–2030 წლისთვის პუტინმა, შეიძლება, ისე გააძლიეროს არმია, რომ რუსეთს NATO-ზე დარტყმის შესაძლებლობა ჰქონდეს!

**გერმანიის თავდაცვის მინისტრი, ბორის პისტორიუსი არ გამორიცხავს, რომ რუსეთი NATO-ს ტერიტორიას რამდენიმე წელიწადში დაესხას თავს. ინფორმაციას DW ავრცელებს.**

„თუ ჩვენ უგულებელვყოფთ საფრთხეს მხოლოდ იმიტომ, რომ ის დისკომფორტს გვიქმნის, ეს საფრთხე არ შემცირდება, არამედ მხოლოდ გაიზრდება“, – განაცხადა პისტორიუსმა.

მისი თქმით, ამ დროისთვის, NATO-ზე რუსეთის სამხედრო თავდასხმა მოსალოდნელი არ არის.

ამავდროულად, მინისტრმა აღნიშნა, რომ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს თანმიმდევრულად გადაჰყავს თავისი ქვეყნის ეკონომიკა „საომარ რელსებზე“ – ახლა რუსეთი რამდენიმე თვეში უფრო მეტ იარაღსა და საბრძოლო მასალას აწარმოებს, ვიდრე ევროკავშირის ყველა ქვეყანა წელიწადში ერთად.

„2029-2030 წლისთვის პუტინმა შეიძლება ისე გააძლიეროს თავისი არმია, რომ რუსეთს NATO-ზე დარტყმის შესაძლებლობა ჰქონდეს. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ იმისთვის, რომ უახლოეს წლებში პუტინი შეეცადოს ნატოს – ერთიანობის გამოცდას ალიანსის ტერიტორიის ამა თუ იმ ნაწილში შეჭრით“, – აღნიშნა გერმანიის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა.



## ბალტიისპირელები იმდენს ნუ იზამენ, რომ რუსული „ორეშნიკები“ დააჯდეთ თავზე!

**მთელი ბალტიისპირეთი რატომღაც ჟიგიმანტას პავილიონისებად გადაიქცა და საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ავანგარდშია. არადა, წესით, პირიქით უნდა ყოფილიყო. ყველაზე უკეთ ბალტიისპირელებს უნდა სცოდნოდათ, რას ნიშნავს ნატოში გაწევრების მოლოდინში მყოფი საქართველოს მდგომარეობა, რომელიც რუსი ოკუპანტის წინაშე მარტოა დარჩენილი. მით უმეტეს, რომ ნატოში 20-წლიანი წევრობის მიუხედავადაც კი, ბალტიისპირეთის ქვეყნები არ მალავენ, რომ რუსული აგრესიის წინაშე თავს უსაფრთხოდ არ გრძნობენ.**

ესტონეთის პრემიერი ამბობს, რომ საქართველოს წინააღმდეგ სანქციების სია აქვს და ელის, რომ ევროპასაც მტკიცე პოზიცია ექნება ამ მხრივ.

ესტონეთის პრემიერის გადაწყვეტილება უხერხულ მდგომარეობაში აგდებს ესტონელ პოლიტიკოსებს.

საქართველოს პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი **გია ვოლსკი** მიიჩნევს, რომ კონკრეტული ქვეყნები, განსაკუთრებით, ბალტიისპირელები იმ ხალხს აძლევენ პრეფერენციას, რომელიც შეკვეთას შეუსრულებს, რომ რუსეთის ძალების დივერსიფიცირება მოხდეს საქართველოსკენ და არა ბალტიისპირეთისკენ.

რატომ სჯის ბალტიისპირეთი ხალხის მიერ არჩეულ საქართველოს ხელისუფლებას?

**ანალიტიკოსი გია აბაშიძე** for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ, სამწუხაროდ, ბალტიის სამივე სახელმწიფოსთვის მათი სუვერენიტეტი ნულოვანია, რასაც დაავალებენ ევროკრატები, იმას იმეორებენ. ხვალ რომ დაავალონ, იცეკვეთ წითელ მოედანზე, ან მარშით ჩაიარეთო, იმასაც შეასრულებენ.



**„ტრაგიკომიკურია ბალტიის პოლიტიკოსების მხრიდან სავიზო სანქციებზე საუბარი. საკუთარი ქვეყნების სოციალ-ეკონომიკურ პრობლემებს მიხედონ, გაამაგრონ საზღვრები რუსეთთან, თავდაცვაზე უფრო მეტი დახარჯონ, ვიდრე ოკუპირებული საქართველო უნამუსოდ და უზნეოდ დაამუნათონ. აშშ-ში ახალი ადმინისტრაციის მოსვლის კვალდაკვალ ევროპაც შეიცვლის პოლიტიკას საქართველოს მიმართ და საინტერესო იქნება, როგორ შეინარჩუნებენ სახეს ბალტიის სამარცხვინო პოლიტიკოსები და ევროკრატიის წარმომადგენლები საქართველოსთან ურთიერთობის ნორმალურ კალაპოტში დაბრუნების კუთხით. ამიტომ ახლა რას ამბობენ ვილნიუსში, ტალინში, ბრიუსელში, ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს“,** – ამბობს გია აბაშიძე.

**ანალიტიკოსი ედიშერ გვენეტაძე** მიიჩნევს, რომ ბალტიისპირეთს დავალება აქვს ე.წ. გლობალური ომის პარტიისგან, რომ რაც მათ ვერ მოახერხეს და სულ რაღაც მცირეოდენი დღეები აქვთ დარჩენილი, ამ დღეების განმავლობაში ბალტიისპირელების ხელით გააკეთონ ის, რაც გლობალურმა ძალებმა ვერ განახორციელეს. აქ მთავარია, რომ ბალტიისპირელებს ეშინიათ რუსეთის. როგორ უნდა გიხაროდეს კაცს სხვისი ცუდი, მაგრამ ბალტიისპირელები იმდენს ნუ იზამენ, რომ „ორეშნიკი“ რომ გამოიგონეს რუსებმა, ის არ დააჯდეთ თავზე.



**„ბალტიისპირელები ცოდვას ჩადიან ქართველი ხალხის მიმართ. თუ ასეთი ვაჟკაცები არიან ეს ბალტიისპირელები, მაშინ რას იტყვიან იმაზე, რომ დღემდე გადის რიგაზე, ანუ ლიეტუვის დედაქალაქზე მოსკოვიდან კალინინგრადამდე ჩამავალი გზა?! თუ ბიჭები არიან, დაკეტონ ეს გზა. რატომ ვერ კეტავენ? ლიეტუვას აქვს ყველაზე დიდი ღვინით ვაჭრობა რუსეთთან. ესტონელები რომ მაღალფარდოვნად ლაპარაკობენ, ვნახოთ, რამდენი პროცენტია იქ რუსული მოსახლეობა?! კაია კალასი რომ იყო პრემიერ-მინისტრი, მის ქმარს რამდენი ვაჭრობა ჰქონდა და როგორ გამილიონერდა რუსეთთან ამ ომის დროს?! ესენი არიან გლობალური ომის პარტიის „შესტიორკები“, რომლებიც ყველაფერს გააკეთებენ, რასაც დაავალებენ. ესენი არიან მონური დამოკიდებულების ქვეშ გლობალური ომის პარტიის ხელმძღვანელებთან, რომლებსაც ასე ძალიან უნდოდათ და დღემდე უნდათ საქართველოს ჩართვა ომში და ჩვენი ქვეყნის განადგურება. ეს არის შემსრულებელი ხალხი“,** – აცხადებს ედიშერ გვენეტაძე.

ანალიტიკოსი ეროვნული მოძრაობის პერიოდსაც იხსენებს და ამბობს, რომ ნუ ვიტყვით, თითქოს იმ პერიოდში ბალტიისპირელები რაიმეში გვეხმარებოდნენ, არც იმ ომების დროს დაგვიდგნენ გვერდით, რაც საქართველომ გადაიტანა. ესენი არიან ე.წ. ვიგოდნიკები, როგორც რუსები იტყვიან. ბალტიისპირელებს ვიგოდნიკობა უნდათ დღესაც, მაგრამ არ გაუვათ!..

**მანანა ნოზაძე**

## ჩრდილოეთ კორეა რუსეთში დამატებითი ჯარებისა და სამხედრო აღჭურვილობის გასაგზავნად ემზადება!

**ჩრდილოეთ კორეა ემზადება რუსეთში დამატებითი ჯარებისა და სამხედრო აღჭურვილობის, მათ შორის კამიკაძე უპილოტო თვითმფრინავების გაგზავნისთვის, – სამხრეთ კორეის მედიის თანახმად, ამის შესახებ სამხრეთ კორეის სადაზვერვო სასამხურის ანგარიშშია აღნიშნული.**

მოხსენების თანახმად, ჩრდილოეთ კორეა ახლა რუსეთს აწვდის სარაკეტო გამშვებებს და თვითმავალ არტილერიას.



გარდა ამისა, დაზვერვის ოფიციალური პირები აღნიშნავენ, რომ ჩრდილოეთ კორეა იწყებს კამიკაძე თვითმფრინავების წარმოებას. დაზვერვის ოფიციალური პირები განმარტავენ, რომ ამის მიზეზი არის ჩრდილოეთ კორეის სურვილი, მოიპოვოს პრაქტიკული გამოცდილება საომარ მოქმედებებში და განაახლოს თავისი შეიარაღების სისტემა.

ჩრდილოეთ კორეამ რუსეთში 12 000-მდე ჯარისკაცი გაგზავნა, რომლებიც კურსკის რეგიონში განათავსეს. გავრცელებული ცნობით, საბრძოლო მოქმედებების დროს, სულ მცირე, 100 ჯარისკაცი დაიღუპა, 1 000-მდე კი დაშავდა. ფხენიანი მოსკოვისგან ტექნოლოგიურ და ფინანსურ მხარდაჭერას, ასევე ნავთობს იღებს.

საქართველო რესპუბლიკა

## დადუნ თურქაძე

# დამაფიქრებელი აბრაკადაბრა




1
*თავს დასდგომია*
*ბედით მორჩილ პლანეტას ომი,*
*მარსისკენ მიჰყავთ ქარავანი*
*მიწიერ „ღმერთებს,“*
*ქარს, საიდანღაც, ხმები მოაქვს*
*დაკარგულ ტომის,*
*აქვე, სულ ახლოს,*
*ფულზე ფხეკენ სიხლიან წვეთებს!*

2
*უფლებააყრილ მსოფლიოზე*
*მეფობს უკუნი,*
*ომს კი საჯიჯგნად გაუხდია*
*ველი მზიური,*
*დადის აჩრდილი ევროპაში*
*მტრედის ღუღუნით,*
*ემპირიული, რომ შეკმაზოს იმპერიულით!*

3
*ფრთებს შლის ბალასტი აზროვნების*
*პოლიტ-კარტელი,*
*მაძღარ მგლებს რიგში*
*დამშეული, ცვლიან ქორები,*
*კაცობრიობა ანგრევს ნიშას ალმა-მატერის*
*და ფასს ადებენ ხელზე მთხვევას*
*დიქტატორები!*

4
*განა, ვინ?მოდგმა ადამისა,*
*ელიტ-სელბრითი,*
*შლის კოლონიურ ინტელექტად*
*ეპიკურ ცოდნას*
*და გადამტანებს, ჯერ აუხსნელ*
*ათასგვარ მითის,*
*დავიწყებიათ ორ ძმას შორის მომხდარი*
*ცოდვა!*

5
*უძღები გულით გამომხტარებს*
*კლანის აპკიდან,*
*აღარ იტაცებთ გოლფის მინდვრის*
*„კატაკომბები,“*
*და „თავდახსნილნი“*
*არსებობის არსის ხარკიდან,*
*ახლა, საყვარლად თამაშობენ*
*პინგ-პონგს, ბომბებით!*

6
*აჩრდილიც დადის...*
*ბოროტებით დახუნძლულ ვარცლით*
*და გასცემს ჯიბის,*
*ყოვლისშემძლე მაკულატურას*
*და ფარვანებიც, შეპყრობილნი*
*სინათლის განცდით,*
*გულანთებული აწყდებიან მზაკვრულ*
*ნათურას!*

7
*ეჰ, ჩემო, მუზავ!*
*რა შემეძლო ასეთ ქარცეცხლში*
*შენც კარგად იცი,*
*თნევა დამყვა სულის გადიად,*
*არ მწამს სახელი შეფერილი*
*ოქრო და ვერცხლით,*
*ჩემი ღირსება მახტრიონის განთიადია!*

8
*ორბთა სამეფოს მთების ჩრდილში*
*მიდგას მე ფესვი,*
*მზე თინათინის ღიმილისგან მინთია კერა,*
*ქრისტეს მცნებიდან*
*მოდის ჩემი ადათი, წესი,*
*ვაჟას ლუხუმში*
*კრთის ჩემი სვე და ბედისწერა!*

9
*გამომივლია, განსაცდელიც,*
*ფათერაკებიც,*
*და სიცოცხლის წილ,*
*ბეწვის ხიდზეც გადამივლია,*
*გაავებული პუწაწკები და ქოფაკები*
*ახლაც, დღედაღამ,*
*ყეფა-ყეფით გარე მივლიან!*

10
*გულის კარნახით, განვერიდე,*
*ფიქრებში წაწწალს*
*და, რადგან ურვაც, ერთნაირი,*
*დაგვყვა მე და შენ,*
*მეც ავდექი და მოგაშურე*
*გულწრფელად ამ წამს,*
*რომ ამ ერთხელაც*
*ვეზიაროთ ღვთიურ ზედაშეს!*

11
*სასწაულებიც ხდება, გული —*
*ნაღველის ლავა,*
*ღვინის ნათელით შემეცვალა*
*გული — ჯომარდით,*
*და ზეცისაკენ, ნისლის კიბით, ოცნებით მავალს,*
*წინ ჩამომიდგა არტურ რემბოს*
*„მთვრალი ხომალდი.“*

12
*და მეც ქიმიდან,*
*სარკეებში გაჭედილ ლანდებს,*
*შევძახე: მორჩა!*
*გაბრუება, სკამის გიჟების,*
*აფიშებიდან*
*ვხსნი ყალბ შოუს, ბალ-მასკარადებს*
*და კავკასიის ომის წრეზე გეპატიჟებით!*

13
*სპექტაკლს ამაღლებს, ერთობ, როლი*
*ბრძენი ქადაგის,*
*მაჟორით მიდის გასტიგუზუ,*
*მინორით-როში,*
*ცრემლით აღსავსე გრუშეს ამბავს*
*ახლა აზნდაკი,*
*ხელდაბანილი, განსჯის ევრო სასამართლოში!*

14
*ვერაგობით და სიყვარულით*
*მიზანსცენები*
*დაიტვირთება და ითქმება*
*ჯერაც ართქმული*
*და ცხვრის ტყავებში გახვეული ავი ენები,*
*უცხო ვალუტას დაითვლიან*
*სუფთა ქართულით!*

15
*არ ვიცი, ვნახოთ, გრანტის ფაშვში,*
*თუ ჩავეტიეთ,*
*ბევრი რამ, ალბათ, შეიცვლება*
*ტაქტის წყალობით,*
*რაც შეეხება კულუარულ პერიპეტიებს,*
*შიგდაშიგ, უფრო,*
*თავს შევიქცევთ ლაზღანდარობით!*

16
*რეკვიზიტიდან ამოვიღეთ ტანკის ნატურა,*
*მძაფრ ბატალიებს ჩავანაცვლეთ*
*სოსოს სურათი,*
*ბევრს, ალბათ, სურდა,*
*რომ ეყვირა: „ვაშა!“ და „ურა!“*
*ჩვენ კი, სპექტაკლი დავამთავრეთ*
*„სისატურათი“!*

17
*შეიძლებოდა,*
*„ცარცის წრიდან“ გვესესხა ბევრი,*
*მაგრამ რა გვექნა, იქ,ზოგი რამ, უფაქტუროა,*
*თუ ვერ შევძელით,*
*ვერ გავწიეთ უღელით კევრი,*
*მწამს, არ განგვსჯიან ბერტოლდ ბრეხტი,*
*რობერტ სტურუა!*

18
*ბურანში მყოფი ჩამოვყევი*
*შეჩვეულ კიბეს,*
*გადაუხვია თავის გზაზე,*
*მუზამაც უბრად,*
*ქარს გაეტაცა ოცნებებით ნაქსოვი დიბა*
*და, მეტად ცხარე დღის წესრიგით*
*და ამღვრეულ დღით დახუნძლული*
*გაეწყოთ „სუფრა“!*

19
*ნესტანის ხვედრზე, რუსთაველზე,*
*წუხდა რუსთველი...*
*„დემოკრატიულ“ თამაშებით*
*ლაღობდა ბავშვი,*
*ელოდა ჟამი ღვთიურ წიგნზე*
*დადებას ხელის,*
*ქალის ლანდი კი,*
*ვარდებს კრეფდა მაგიურ ბაღში.*

20
*ქერათმიანი, ცისფერთვალა*
*უცხო ასული,*
*გვაწვდიდა თბილ და სასიცოცხლო*
*ინფორმაციას, —*
*რა არ იღონეს, რა არ სცადეს,*
*მაგრამ „ვერ შედგა,*
*თურმე, ჯუნგლების და ედემის ინტეგრაცია!*

21
*ანგალ დევებსაც*
*ეს უნდოდათ, წყაროს სათავე*
*ჩაკეტეს წამსვე, ზღაპრის წიგნიც*
*დახურეს სხარტად,*
*როგორც ამბობენ, უწყლო რობოტს*
*უფრო მართავენ...*
*და,თუ ასეა, — უხაროდეს ჩექმიან კატას!*



***ამასობაში... ერთმანეთის სულის ძრობაში,***
***ხანდახან „ყელის გამოჭრაში,“***
***თანაც — ძმობაში,***
***მერე, სისხამზე, რაკეტების სროლით ტკბობაში!***
***მერე კი, ისევ, ისევ ისე,***
***სჯაში, ბჭობაში...***
***გ მ ო ბ ა, დ ა გ მ ო ბ ა,***
***ჩ ა გ ო ნ ე ბ ა . . .***
***პათეტიკური,***
***— ეჰეე! ირღვევა,***
***დედამიწის ირგვლივ***
***რიკული!***



**2024 წ.**
**დეკემბერი**

# გამოიცა ვიქტორ რცხილაძის ორი ნაშრომი

**პირველი გახლავთ კრებული, რომელშიც შესულია დიდი რუსი ფილოსოფოსის, ალექსეი ლოსევის ორი წერილი: „მიქელანჯელო“, „მანიერიზმი“. წერილები თარგმნილია ა. ლოსევის წიგნიდან „აღორძინების ესთეტიკა“.**

იგივე კრებული შეიცავს გამოჩენილი გერმანელი თეოლოგისა და ფილოსოფოსის, ვოლფჰარტ პანენბერგის წერილს — „ცოდვა, სიკვდილი და სიცოცხლე“.

ამ თარგმანებს ერთვის თავად ვიქტორ რცხილაძის „ფილოსოფიური წერილები“. მათ შორისაა: „კონსერვატიული მოძრაობა საქართველოში“, „სიკვდილის შიში“, „რელიგიური განცდები ციხეში“, „გრიგოლ რობაქიძის ტრაგიზმი“ და სხვა.




აღნიშნულ კრებულს წამძღვარებული აქვს ვ. რცხილაძის „მთარგმნელის წინათქმა“, სადაც იგი წერს: „ჩვენს „ფილოსოფიურ წერილებს“ შეგნებულად წავუმძღვარეთ ალექსეი ლოსევის „აღორძინების ესთეტიკიდან“ თარგმნილი თავი მიქელანჯელოზე. ეს იმ მოსაზრების გამო გავაკეთეთ, რომ ჩვენი ეპოქაც, მსგავსად რენესანსის ეპოქისა, არ არის „ადამიანის ლაღი და სიხარულით გუნება-განწყობილების“ ეპოქა, როგორც ამ ეპოქაზე წერს ალ. ლოსევი. „მიქელანჯელოს პირქუში“ ტრაგიზმით აღსავსე „ტიტანური ფიგურა“ ამ ეპოქის მოვლენაა. მაგრამ ეს ტრაგიზმი სულით ხორცამდე გამსჭვალავს ჩვენს ეპოქასაც. განსაკუთრებით, საქართველოს რომლის დახასიათებასაც შევეცადე ჩემს წერილებში“.




წიგნის გარეკანს ამშვენებს ჩვენი დიდი ხელოვანის, მერაბ ბერძენიშვილის სურათი „მიქელანჯელო“.

ვიქტორ რცხილაძის მეორე ნაშრომი გახლავთ სიორენ კირკეგორის ერთ-ერთი მთავარი წიგნის „შიშის ცნების“, თარგმანი. ეს არის ამ წიგნის მეორე, გასწორებული გამოცემა. წიგნი თარგმნილია გერმანულიდან. წიგნის გარეკანს ამშვენებს კარლ ბრიულოვის სურათი „პომპეის უკანასკნელი დღე“.

◉ ძალოსნობა

# თითო ოქროს და ვერცხლის მედლით



**ბაჰრეინში ძალოსანთა მსოფლიოს 2024 წლის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები, რომელსაც მთავარი მწვრთნელი გიორგი ასანიძე ხელმძღვანელობდა, 8 სპორტსმენით გაემგზავრა. ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ფაქტობრივად, ახალგაზრდული გუნდი წაიყვანა საასპარეზოდ. ამჯერად შეჯიბრებაში არ მონაწილეობდა საჩხერელი გოლიათი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა ტალახაძე. ტურნირის ორგანიზატორებმა ის საპატიო სტუმრად მიიწვიეს. ჩემპიონატის საზეიმო გახსნისას დარბაზში მის გამოჩენას ოვაციით შეხვდნენ.**

რაც შეეხება ჩვენებურთა ბაჰრეინულ შედეგებს, როგორც უკვე გაუწყეთ, კვარცხლბეკზე მხოლოდ გამოცდილი სპორტსმენი, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების მრავალგზის გამარჯვებული და პრიზიორი **რევაზ დავითაძე** (პირადი მწვრთნელი **თემურ ჯანჯღავა**) ავიდა. 96 კილოგრამ წონით კატეგორიაში მან 177 კილოგრამი აიტაცა და ოქროს მედალი მოიპოვა. აკვრაში მას 210-მა კილოგრამმა მხოლოდ მე-6 ადგილი მოუტანა. თუმცა ორჭიდის ჯამში 387 კილოგრამით (177+210) მეორე ადგილზე გავიდა და ვერცხლის მედალი დაიმსახურა 2 მსოფლიოს ჩემპიონ ნურგიზა ადილეტულს (ყაზახეთი) მხოლოდ კილოგრამით ჩამორჩა.

**ელენე ქარჩავა**

**სურათზე:** რევაზ დავითაძე

◉ კალათბურთი

# ლუკა ლიკლიკაძე: ევროპაზე ზედიზედ მეექვსედ უნდა გავიდეთ

**საქართველოს საკალათბურთო ნაკრებმა 2023 წელს არსებობის ისტორიაში პირველად ითამაშა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. ეროვნული გუნდის ღირსებას სახელოვან კალათბურთელებთან ერთად იცავდა 21 წლის დებიუტანტი ლუკა ლიკლიკაძე, ჩვენი ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე. მისი კარიერა 2010 წელს დაიწყო ქუთაისში. სპორტისადმი დიდმა სიყვარულმა ლუკას ბავშვობის ოცნების ახდენა შეაძლებინა – საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებში მოხვდა და იაპონიაში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზეც ითამაშა.**

– 7 წლისამ ქუთაისში კარიერა რომ დავიწყე, ამ ყველაფერს, ცხადია, სიზმარშიც ვერ წარმოვიდგენდი. – მითხრა ლუკამ. – როცა დავრწმუნდი, უკალათბურთოდ ცხოვრებას ვერ შევძლებდი, უფრო მონდომებით დავიწყე ვარჯიში. ბედნიერი ვარ, რომ შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია.

ეროვნულ ნაკრებში დებიუტი მქონდა. ჩვენი შესანიშნავი კალათბურთელების გვერდით ყოფნა, მათთან გატარებული თითოეული წამი ჩემი ცხოვრების ყველაზე დასამახსოვრებელი პერიოდი იქნება. ცნობილი კალათბურთელების წინააღმდეგ თამაში, ვფიქრობ, წინსვლაში დამეხმარება.

**– 2018-2021 წლები ესპანური ბასკონიის გუნდში გაატარე...**

– მაშინ 15 წლის ვიყავი. ესპანეთში 3 წელი ვითამაშე, ენა შევისწავლე, ბევრი კარგი ადამიანი გავიცანი და, რაც მთავარია, ნამდვილ კალათბურთს ვეზიარე. იმ ჭაბუკური გამოცდილებიდან ბევრი რამ გამომადგა.

**– 2023 წელს საკალათბურთო კლუბ „ოლიმპის" შემადგენლობაში სუპერლიგის საუკეთესო ახალგაზრდა კალათბურთელად დაგასახელეს...**

– სასიამოვმო მოულოდნელობა იყო, თუმცა, რომ არა ჩემი მწვრთნელი **დათო როგავა** და თანაგუნდელები, ეს ყველაფერი არ იქნებოდა, ამიტომ მათი უზომოდ მადლიერი ვარ.

**– კალათბურთის თამაში ვინ შეგაყვარა?**

– მოტივაციის მთავარი წყაროა ჩემი ოჯახი. შემგულიანებელი კი – ბიძაჩემი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი დავით ბერეკაშვილი, რომელმაც კალათბურთის ანბანას მაზიარა და მიბიძგა ის გამოვსულიყავი, ვინც დღეს



ვარ. როცა ის „ოლიმპის" თამაშს მსაჯობდა, ჩემს მიმართ დიდ სიმკაცრეს იჩენდა. მასთან ერთად მოედანზე ყოფნა ძალიან რთული, თუმცა, ამავდროულად, სასიამოვნოც იყო. მისმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ ძალიან დამწყვიტა გული.

**– შარშან ეროვნულ ჩემპიონატში ტრავმა მიიღე. რამდენად რთული გამოდგა რეაბილიტაცია?**

– მსოფლიოს პირველობის შემდეგ, როცა ძალიან კარგ კონდიციებში ვიყავი, თსუ-სთან შეხვედრისას აქილევსის მყესი გამიწყდა და მთელი წელიწადი გამიცდა. ახლახან დავუბრუნდი სარბიელს. საუკუნედ მომეჩვენა რეაბილიტაციის პერიოდი. მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც გამოჯანმრთელებაში დამეხმარა.

**– ამჟამად საკალათბურთო კლუბ „ორბის" წევრი ხარ. რა გამოარჩევს მას სუპერლიგაში მოთამაშე სხვა გუნდებისგან?**

– „ორბში" ოჯახური გარემოა. გვყავს საუკეთესო გულშემატკივარი. წლევანდელ ჩემპიონატში საკმაოდ ახალგაზრდა გუნდით ვართ წარმოდგენილი, თუმცა დიდი ამბიციები გვაქვს – ჩემპიონობა გვინდა**– ნაკრების ყოფილ მწვრთნელ ილიას ზუროსთან როგორი დამოკიდებულება გქონდა?**

– ზუროსი პროფესიონალი და მიზანდასახული ადამიანი გახლდათ. ერთი სიამოვნება იყო მასთან კალათბურთზე საუბარი, რადგან ზურგს უდიდესი გამოცდილება უმაგრებს. რაც შეეხება ნაკრების ახლანდელ მწვრთნელ **ალექსანდრ ჯიკიჩს**, იგი ხასიათით ძალიან გვგავს ქართველებს, ეს სასიამოვნოა და თამაშს გვიმარტივებს. თუ როგორი პროფესიონალია, ეს უკვე თავად იხილა ათასობით გულშემატკივარმა.

**– საქართველოს ნაკრები ნოემბერში ორჯერ შეხვდა ფინეთის ეროვნულ გუნდს...**

– ძალიან მნიშვნელოვანი მატჩები გვქონდა პრინციპულ კონკურენტთან, ბიჭებმა უნაკლოდ შეასრულეს მწვრთნელის დავალებები და 2 უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოვიპოვეთ. გაისად 21 და 24 თებერვალს ორი ორთაბრძოლა გვექნება – შინ დანიასა და სტუმრად მსოფლიოს 2023 წლის ვერცხლის პრიზიორ სერბეთთან. დანიელებს თუ ვძლევთ, საამისოდ კი არაფერს დავიშურებთ, მაშინ ევროპის 2025 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ზედიზედ მეექვსედ ვითამაშებთ.

**მარიამ ბერეკაშვილი**

**სურათზე:** უტევს ლუკა ლიკლიკაძე

◉ ფეხბურთი. რეგიონი

# ისტორია გრძელდება



**თელავის საფეხბურთო გუნდი დღეს მხოლოდ კლუბი არ არის, ეს არის ქალაქის სიმბოლო, გარჯისა და გამარჯვების ნამდვილი მაგალითი. როგორ დაიწყო ყველაფერი? ამის შესახებ გვესაუბრება კლუბის დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი სოსო გრიშიკაშვილი.**

– საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ UEFA-ს ოფიციალური აგენტი ვიყავი. ჯერ კიდევ ფეხბურთელობისას მინდოდა თელავში გუნდის დაფუძნება. მეგობრებისა და კეთილი ადამიანების დახმარებით ოცნება რეალობად ვაქციე.

გუნდის დაარსებიდან 4-5 წელიწადში ეროვნულ ლიგაში მოხვედრა დავისახეთ მიზნად. მართალია, ბევრი სირთულე შეგვხვდა, მაგრამ გამოწვევებს გავუმკლავდით. მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, ვინც გვერდით დამიდგა მიზნის განხორციელებაში. დღეს „თელავი" ჩემი მეორე ოჯახია. სანამ ცოცხალი ვარ, ამ გუნდის გვერდით ვიქნები და მისი წარმატებისთვის ყველაფერს გავაკეთებ. ასე რომ, ისტორია გრძელდება.

**– კლუბისთვის ახალ წევრებს რა ნიშნით ეძებთ?**

– უპირველესად, პროფესიონალიზმს ვაფასებ. გუნდის დაარსებიდან დღემდე ჩვენ გვერდით არიან ფეხბურთელები, რომლებიც შრომისმოყვარეობით, თავდადებითა და კლუბის მიმართ სიყვარულით გამოირჩევიან. ამის ნათელი მაგალითია ჩვენი კაპიტანი **ანტონ თოლორდავა**, რომელსაც „თელავის" წარმატებისთვის თანაგუნდელებთან ერთად ძალა და შემართება არ დაუზოგავს.

ვცდილობთ, შევქმნათ ისეთი გარემო, სადაც იქნება სიყვარული, პატრიოტული სულისკვეთება, ურთიერთპატივისცემა და თანადგომა. გუნდის შესავსებად ყოველთვის ვეძებთ მოტივირებულ ახალგაზრდებს, რომლებსაც თავდავიწყებით ეყვარებათ ფეხბურთი და პროფესიონალიზმით იქნებიან გამორჩეული.

**– სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?**

– წლეულს ჩვენი მიზანი მხოლოდ ეროვნულ ლიგაში დარჩენა იყო, რადგან სატურნირო ცხრილის მაღალი ადგილების დაკავებაში ბევრმა ფაქტორმა შეგვიშალა ხელი. მომავალი წლისთვის კი გვექნება იმის ძალა და შესაძლებლობა, რომ საპრიზო სამეულისთვის ვიბრძოლოთ, მით უმეტეს, რომ ქალაქის ხელმძღვანელობა ძალიან გვეხმარება. გუნდის წევრებსაც მოტივაცია არ აკლიათ. საფეხბურთო კლუბი ხალხის – თელაველების გუნდად იქცა. გულშემატკივრების სიყვარული ენერგიას გვმატებს.

– „თელავი" ჩვენთვის მართლაც მეორე ოჯახია, – ჩაერია საუბარში **ანტონ თოლორდავა.** – თითოეულმა ჩვენგანმა აქ ბევრი რამ ისწავლა, პირადად მე უამრავ კარგ ადამიანთან დამამეგობრა. თელავის გუნდის კაპიტნობა ჩემთვის მხოლოდ სამკლავურის ტარება არ არის – ეს არის უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელსაც დღემდე ვუმკლავდები, რაც ბატონი სოსოს დამსახურებაა.

**– საფეხბურთო კარიერიდან გამორჩეულად რომელ ეპიზოდს გაიხსენებთ?**

– შვიდი წლის ასაკიდან ბურთი ჩემი მუდმივი თანამგზავრია. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გადამხდენია თავს, მაგრამ ყველაზე მეტად ის მომენტი მახსოვს, „თელავთან" ერთად ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში რომ გადმოვედით და ისიც, ესტონეთის გუნდში თამაშისას ამ ქვეყნის ჩემპიონი რომ გავხდი. იმედია, კვარცხლბეკზე „თელავთან" ერთადაც ავალ.

**– რაზე ოცნებობთ?**

– ეროვნულ ნაკრებში თამაშზე.

**– თელაველთა კარის დარაჯი რას გვეტყვის? – ახლა ბექა ქურდაძეს მივმართე შეკითხვით.**

– სეზონი რომ დავიწყეთ, სხვა მიზნები გვქონდა, მაგრამ ცხადია, ყველაფერს ვერ გათვლი და ვერ გაითვალისწინებ. წლეულსაც უმაღლეს ლიგაში დასარჩენად ვიბრძოლეთ. ბოლოსწინა მატჩი სამტრედიასთან ვითამაშეთ. აუცილებლად უნდა მოგვეგო. უდიდესი წნეხის მიუხედავად, გავიმარჯვეთ და უმაღლეს ლიგაში ადგილი შევინარჩუნეთ. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ბევრად მეტი შეგვიძლია და ამ შესაძლებლობებს აუცილებლად გამოვიყენებთ.

**– ბავშვობისას ყველა თავდასხმით იწყებს. თქვენ მეკარეობა რატომ აირჩიეთ?**

– ხუთი წლის ვიყავი, ჩემს უფროს ძმას ვარჯიშის შემდეგ მეკარის ფორმა რომ აჩუქეს. მაშინვე მე მოვირგე და ის მომენტი ამ პოზიციისკენ ჩემი პირველი გაცნობიერებული ნაბიჯი აღმოჩნდა. მერე არჩევანი არ შემიცვლია და არც მინანია. დასტურად ერთ ეპიზოდს დავასახელებ: საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების ესპანეთის გუნდთან მატჩისას, რომელიც განსაკუთრებულად დაძაბული და საინტერესო აღმოჩნდა, კრიტიკულ სიტუაციაში ელ-ჰადადი მუნირის დარტყმული ბურთი მოვიგერიე და გუნდი გოლისგან ვიხსენი. თუნდაც ამგვარი ემოციური ეპიზოდებისთვის ღირს მეკარეობა...

თელაველებთან საუბარმა დაგვარწმუნა, რომ გუნდი ახალი სეზონისთვის უკეთ მოემზადება და ერთიანი ძალით ყველა გამოწვევას გაუმკლავდება – დასახული მიზნისთვის იბრძოლებს. ეს მიზანი კი ეროვნულ ჩემპიონატში მედლების მოპოვებაა.

**ნინი ჯაშიაშვილი**

**სურათზე:** მარცხნიდან – ბექა ქურდაძე, სოსო გრიშიკაშვილი, ანტონ თოლორდავა

◉ ძიუდო

# გორელები ბრინჯაოს დასჯერდნენ

**მონპელიეში (საფრანგეთი) დამთავრდა ძიუდოისტების ჩემპიონთა ლიგის გათამაშება, რომელშიც გორის „გოლდენ გორიც" მონაწილეობდა. ქართველი მოჭიდავეები ჯგუფში ფრანგულ „ნიცა ჯუდო მონპელიესთან" 3:4 დამარცხდნენ. ქართველთაგან გადამწყვეტი შეხვედრა ეთერ ლიპარტელიანმა (57 კგ) ალია დე კარვალიოსთან წააგო.**

გორელი ძიუდოისტები დამამშვიდებელ




წრეში იოლად გაუმკლავდნენ ფრანგულ „ჯუდო ოლიმპიკ მონპელიეს" – 4:1. ჩვენს გუნდში წარმატებას მიაღწიეს ლუკა მაისურაძემ (90 კგ), სოფიო სომხიშვილმა (+70 კგ), ლიპარტელიანმა და გიორგი ტერაშვილმა (73 კგ), უშანგი კოკაური (+90) კი მეტოქესთან ვერაფერს გახდა.

მესამე ადგილისთვის პაექრობაში „გოლდენ გორი" „ჯუდო უკრაინეს" დაუპირისპირდა. ქართველთა უპირატესობა აშკარა იყო და ეს საერთო ანგარიშშიც აისახა – 4:0. ვადამდე ჩამოიშორეს გზიდან მეტოქეები სომხიშვილმა, დემეტრაშვილმა და ლიპარტელიანმა, რომლებმაც იპონით აჯობეს, შესაბამისად, რუსლანა ბულავინას, იევჰენი ბალიევსკის და ინა შინკარენკოს, ხოლო ტერაშვილმა დამატებით დროში მსაჯებს ორთაბრძოლიდან ვლადისლავ კაზიმიროვი მოახსნევინა.

ლიგის ჩემპიონობა ისევ ფრანგულმა „პარი სენ-ჟერმენმა" მოიპოვა, რომელმაც ფინალში ბელგრადის „რედ სტარი" დაჯაბნა – 4:0.

**ლიკა სოლომონიშვილი**

გვერდი მოამზადა საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტებმა

## პრეზიდენტმა ცხრა მსჯავრდებული შეიწყალა

**საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა ცხრა მსჯავრდებული პირი შეიწყალა.**

პრეზიდენტის პრესსამსახურის ცნობით, შეწყალებული პირებიდან ხუთი მსჯავრდებული სრულად გათავისუფლდა პენიტენციურ დაწესებულებაში თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

მათივე ინფორმაციით, ოთხ მსჯავრდებულს პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად დარჩენილი სასჯელის ვადა შეუმცირდა, მათ შორის ერთ ქალ მსჯავრდებულს.




## ვარკეთილში მომხდარი სასტიკი მკვლელობის დეტალები

**შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად განზრახ მკვლელობისა და ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილი მკვლელობის მცდელობის ბრალდებით წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი, 2004 წელს დაბადებული დ.გ. ცხელ კვალზე დააკავეს.**

დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, თბილისში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ოთხ პირს დანით სხეულის სხვადასხვა არეში მრავლობითი დაზიანებები მიაყენა. მიღებული დაზიანებების შედეგად ერთი პირი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა, ხოლო სამ პირს შესაბამისი სამედიცინო დახმარება უტარდება.

ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე მუხლის "ლ" ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

## კესარია აბრამიძის მკვლელობაში ბრალდებული სასამართლომ პატიმრობაში დატოვა

**თბილისის საქალაქო სასამართლოში კესარია აბრამიძის მკვლელობაში ბრალდებული ბექა ჯაიანის პროცესი გაიმართა.**

წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლემ დასაშვებად ცნო ბრალდების მხარის მტკიცებულებები. პროცესს ესწრებოდა ბრალდებული.

სასამართლოში იმყოფებოდნენ კესარია აბრამიძის ოჯახის წევრებიც.

დღესვე მომზადდა ასევე აღმკვეთი ღონისძიების გადასინჯვაც, თუმცა მოსამართლემ ბექა ჯაიანი წინასწარ პატიმრობაში დატოვა.

მოსამართლის კითხვის საპასუხოდ, ბრალდებულმა ბექა ჯაიანმა განაცხადა, რომ ის წარდგენილ ბრალს ნაწილობრივ აღიარებს.

მისი თქმით, თავს დამნაშავედ ცნობს ადამიანის მკვლელობაში, ხოლო მასზე



სისტემატურად, გენდერი ნიშნით ძალადობაში თავს დამნაშავედ არ ცნობს.

„თავს დამნაშავედ ვცნობ, ოღონდ ნაწილობრივ, გენდერს არ ვეთანხმები. ეს არის ჩემი პოზიცია. სისტემატურ ცემაში თავს დამნაშავედ არ ვცნობ. თავს დამნაშავედ ვცნობ იმაში, რომ ადამიანი მოვკალი", – განაცხადა ბექა ჯაიანმა.

## სისხლიანი გარჩევა ნაძალადევში



**თბილისში, ზესტაფონის ქუჩაზე 16 წლის ბიჭი დაჭრეს.**

სავარაუდო თავდამსხმელი 14 წლის მოზარდია.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 117-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

დამნაშავე ცხელ კვალზე დააკავეს.

# რა დაავადებებზე შეიძლება მიუთითებდეს ხშირი მთქნარება



**მთქნარება ყველაზე ხშირად ძილის ნაკლებობის, ერთფეროვანი ყოველდღიურობის, დაღლილობისა და მოწყენილობის ფონზე გვეწყება ხოლმე. თუმცა, როგორც სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები ამბობენ, ეს ერთი შეხედვით უბრალო, რეფლექსური სუნთქვითი აქტი, შესაძლოა, სხვადასხვა დაავადების ნიშანი იყოს. სწორედ ამიტომ, მეცნიერებმა ჯანმრთელობის 6 სამედიცინო მდგომარეობა გამოჰყვეს, რომელზედაც, შესაძლოა, ხშირი მთქნარება მიუთითებდეს და რომელიც უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ.**

1. ექიმების თქმით, ხშირი მთქნარება, შესაძლოა, ძილის აპნოეზე მიუთითებდეს. აპნოე ზედა სასუნთქ გზებთან დაკავშირებული დარღვევაა, რომლის დროსაც ძილში ადამიანი სუნთქვას 10 წამის განმავლობაში წყვეტს. ჩრდილოეთ ამერიკაში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მამაკაცების 20-30%-ს და ქალების 10-15%-ს სხვადასხვა სიმძიმის აპნოე აქვს. როგორც სამედიცინო სფეროს ექსპერტები ამბობენ, როდესაც აპნოეს ეპიზოდების რაოდენობა საათში ხუთს აჭარბებს, შესაძლოა, ჯანმრთელობას სერიოზული ზიანი მიადგეს. ძილის აპნოეს საშუალო და მძიმე ფორმების მკურნალობისას ყველაზე ხშირად ე.წ. PAP თერაპიას იყენებენ. ამ დროს მძინარე პაციენტს სპეციალურ ნიღაბს უმაგრებენ, რომლის საშუალებითაც მას წნევა უწყვეტად მიეწოდება და რომელიც მას სასუნთქი გზების დახშობისგან იცავს.

2. ასევე, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლების თქმით, ხშირი მთქნარება, შესაძლოა, ენდოკრინულ სისტემასთან დაკავშირებულ ისეთ პრობლემაზე მიუთითებდეს, როგორიც ჰიპოთირეოზია. ჰიპოთირეოზი ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითებაა, რომელსაც გულისცემის შენელება, სხეულის ტემპერატურისა და არტერიული წნევის დაქვეითება ახასიათებს. ამ დროს თავს იჩენს ქოშინი, მუდმივი დაღლილობა და ძილიანობა, რაც ხშირ შემთხვევაში მთქნარების სურვილს აჩენს.

3. როგორც ექიმები ამბობენ, ხშირი მთქნარება, შესაძლოა, ღრმა დეპრესიაზე, სტრესსა და შფოთვით აშლილობაზე მიუთითებდეს. საქმე ისაა, რომ ასეთ დროს ორგანიზმი დიდი რაოდენობით კორტიზოლს ანუ სტრესის ჰორმონს გამოიმუშავებს, რომელიც მთქნარების პროვოცირებას იწვევს.

4. ხშირი მთქნარება, შესაძლოა, ანემიაზე მიუთითებდეს. ანემია სისხლის დაავადებაა, რომელიც მთელს მსოფლიოში მილიონობით ადამიანს აწუხებს. ანემიის დროს ორგანიზმში სისხლის ჯანსაღი, წითელი უჯრედების ნაკლებობაა. მას ქრონიკული დაღლილობა, სისუსტე, თავის ტკივილი და თავბრუსხვევა ახასიათებს. ანემია ხშირად მაშინ ვითარდება, როდესაც ტვინსა და გულს არასაკმარისი რაოდენობის ჟანგბადი მიეწოდება. ექიმების თქმით, ჟანგბადის ნაკლებობის გამო, სხეული მთქნარებას იწყებს იმ იმედით, რომ ეს ჟანგბადით მომარაგებას შეუწყობს ხელს.

5. როგორც სამედიცინო სფეროს ექსპერტები ამბობენ, ხშირი მთქნარება, შესაძლოა, გულის უკმარისობაზე მიგვანიშნებდეს. გულის უკმარისობა თავს იჩენს მაშინ, როდესაც გულის კუნთი სისხლს ისე ვერ ტუმბავს, როგორც ეს საჭიროა. შესაბამისად, გული ორგანიზმისთვის საჭირო რაოდენობის სისხლის მიწოდებას ვერ ახერხებს.

6. დაბოლოს, ექიმები აღნიშნავენ, რომ ხშირი მთქნარება, შესაძლოა, გაფანტული სკლეროზის ერთ-ერთი ნიშანი იყოს. გაფანტული სკლეროზი ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებაა, რომელიც ტვინის სხვადასხვა უბნის დაზიანებას იწვევს. ეპიდემიოლოგიური მონაცემებით, გაფანტული სკლეროზი ქალებს სამჯერ უფრო ხშირად ემართებათ, ვიდრე მამაკაცებს. როგორც სპეციალისტები განმარტავენ, თუ მთქნარება დაღლილობით ან ძილის უკმარისობითაა გამოწვეული, მაშინ ექიმის ჩარევა საჭირო არ არის, მაგრამ თუ ის სხვა თანამდევი სიმპტომების ფონზე ჩნდება, ეს უკვე სახიფათოა და ყურადღება უნდა მივაქციოთ.

## რუსეთის კურსკის ოლქში ჩრდილოკორეელი სამხედროების დანაკარგი 3000-ზე მეტია

**უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა, რომ კურსკის ოლქში მოკლული და დაჭრილია 3000-ზე მეტი ჩრდილოკორეელი ჯარისკაცი.**

ზელენსკის ამ განცხადებამდე ცოტა ხნით ადრე, სამხრეთ კორეის მედიასაშუალებები დაზვერვის მონაცემებზე დაყრდნობით იუწყებოდნენ, რომ კურსკის ოლქში მოკლული და დაჭრილია დაახლოებით 1100 ჩრდილოკორეელი სამხედრო.

პირველი ცნობები, რომ უკრაინის წინააღმდეგ ომში რუსეთის დასახმარებლად ფხენიანმა ათასობით სამხედრო გაგზავნა, 2024 წლის ოქტომბერში გავრცელდა. უკრაინული მხარის მონაცემებით, მათი რიცხვი 12 000-მდეა.

უკრაინის სპეციალური ოპერაციების ძალების სარდლობამ განაცხადა, რომ რუსეთი ყალბი მოწმობებით ცდილობს, თავის ტერიტორიაზე ჩრდილოკორეელი ჯარისკაცების ყოფნა დამალოს.



## განცხადება

საქართველოს ნოტარიუსს თამარ ჯიქურაულის სანოტარო ბიუროში მიმდინარეობს აწ გარდაცვლილი ივანე (იოანნ) ჯირაშვილის, რომელიც გარდაიცვალა 02 აგვისტოს, 1978 წელს და მისი შვილის მარია (მარუსა, მარიამი) მტრედაძის, რომელიც გარდაიცვალა 02 მარტს, 1982 წელს, სამკვიდრო საქმეთა წარმოება.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, მიმართოთ ნოტარიუსს თამარ ჯიქურაულს მისამართზე: ქ. თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქუჩა, №184.

# დაე, იარაღი გაჩუმდეს!

## რომის პაპი შობის დღესასწაულის წინ ომის ყველა ფრონტზე ცეცხლის შეწყვეტისკენ მოუწოდებს



**რომის პაპი ფრანცისკე საშობაოდ ომის ყველა ფრონტზე ცეცხლის შეწყვეტისკენ მოუწოდებს. ამის შესახებ ინფორმაციას Voice of America ავრცელებს.**

ამასთან, პაპმა ფრანცისკემ დაგმო უკრაინასა და ღაზაში სკოლებისა და საავადმყოფოების დაბომბვის სისასტიკე.

„დაე, იარაღი გაჩუმდეს და საშობაო სიმღერები აჟღერდეს! მოდით ვილოცოთ, რომ შობის დღესასწაულზე ცეცხლის შეწყვეტა იყოს ომის ყველა ფრონტზე, უკრაინაში, წმინდა მიწაზე, მთელ ახლო აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში“, – განაცხადა რომის პაპმა.

# საახალწლო უქმეები

**საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 3, 6, 8, 9 და 10 იანვარი უქმე დღეებად გამოცხადდა. დადგენილება უკვე გამოქვეყნდა საკანონმდებლო მაცნეზე.**



შესაბამის დადგენილებას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ხელი უკვე მოაწერა.

როგორც დადგენილებაშია აღნიშნული, ადმინისტრაციული ორგანო განსაზღვრავს მის დაქვემდებარებაში მყოფ/მის სისტემაში შემავალ სამსახურებს/მოსამსახურეებს, რომელთა მიმართაც არ გავრცელდება ეს დადგენილება, თუ მათი ფუნქციების შესრულება სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისა და საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისთვის წარმოადგენს გადაუდებელ აუცილებლობას.

დადგენილება არ ვრცელდება საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული პირების წინაშე შესასრულებელ ფინანსურ ვალდებულებებზე.

ამასთან, დადგენილება არ ვრცელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ საქმიანობაზე.



# ქალოვნები ახალ წელს ბავშვებსა და მოხუცებს ულოცავენ

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, დამდეგი შობა-ახალი წელი მცხეთა-მთიანეთის მხარეში, სოფელ ძეგვში მდებარე წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის დედათა მონასტერთან არსებულ სარეაბილიტაციო ცენტრის ბავშვებსა და მოხუცებს მიულოცეს, – ამის შესახებ ინფორმაციას საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.**

მათივე ცნობით, საგამოძიებო სამსახურის უფროსმა სოსო რამიშვილმა უწყების სხვა ხელმძღვანელ პირებსა და თანამშრომლებთან ერთად ცენტრში მყოფი ბენეფიციარები მოინახულეს, საახალწლო ნობათი და პირველადი საჭიროების ნივთები გადასცეს.

სოციალურად დაუცველი, მზრუნველობას მოკლებული ადამიანებისთვის თანადგომისა და მხარდაჭერის გამოხატვის მიზნით, ყოველი წლის ბოლოს, საგამოძიებო სამსახური საქველმოქმედო აქციას ახორციელებს, რომელშიც სამსახურის ყველა თანამშრომელია ჩართული, – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# პროთეზის ალტერნატივა-კბილი ნებისმიერ ასაკში ამოგივათ...

**იაპონიაში კბილის ხელახლა ამოსვლის პრეპარატის კლინიკური ცდები დაიწყო. მეცნიერები იმედოვნებენ, რომ ეს თერაპია მომავალში კბილის იმპლანტებისა და პროთეზის ალტერნატივა გახდება.**



ტესტირება ზრდასრულ მოხალისეებზე მიმდინარეობს.

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ადამიანთა უმეტესობას, სარძევე და მუდმივი კბილების გარდა, ე.წ კბილის ჩანასახებიც აქვს, რომლებიც შესაძლოა, ახალ კბილებად იქცეს.

„ჩანასახები,“ როგორც წესი, არ ვითარდება და, შესაბამისად, ქრება, ამიტომ, მეცნიერებმა პრეპარატი იმ ანტისხეულებით შექმნეს, რომლებიც USAG-1 ცილას ბლოკავს. ეს ცილა კბილების ზრდას ხელს უშლის. ამდენად, პრეპარატი კბილების მესამე ნაკრების „ჩანასახების“ ზრდას ასტიმულირებს, რომლებიც ყველა ადამიანს აქვს, მაგრამ სამედიცინო ჩარევის გარეშე არ იზრდება.

მეცნიერები ამბობენ, რომ კბილების ზრდის პროვოცირებით პრეპარატს თავისი ეფექტურობის დამტკიცება ცდის პირველივე ფაზაში შეუძლია. ამასთან, მკვლევრები იმედოვნებენ, რომ ტექნოლოგია არა მხოლოდ კბილების თანდაყოლილი არარსებობის მქონე ბავშვებს დაეხმარება, რომლებზეც კვლევა 2025 წლიდან ჩატარდება, არამედ დაეხმარება მოზრდილებსაც, რომლებმაც კბილები ტრავმის ან დაავადების გამო დაკარგეს.

2-დან 6 წლამდე ანოდონტიით დაავადებულ ბავშვებზე პრეპარატის კლინიკური კვლევები 2025 წელს იგეგმება. ისინი კბილის ზრდის სტიმულირებისთვის პრეპარატის ერთი დოზას მიიღებენ.

# ხმელთაშუა ზღვაში რუსული გემი ჩაიძირა

**ხმელთაშუა ზღვაში რუსული გემი Ursa Major-ი აფეთქების შედეგად, ესპანეთსა და ალჟირს შორის ჩაიძირა, – ინფორმაციას რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სიტუაციურ-კრიზისული ცენტრის დეპარტამენტი ავრცელებს.**

სამინისტროს ინფორმაციით, გემზე ეკიპაჟის 16 წევრი იმყოფებოდა. ეკიპაჟის 2 წევრი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, 14 ადამიანი მაშველებმა გადაარჩინეს.

„ხმელთაშუა ზღვის საერთაშორისო წყლებში რუსული მშრალი ტვირთის გადამზიდავი Ursa Major-ი სამანქანო განყოფილებაში აფეთქების შედეგად ჩაიძირა“, – ნათქვამია განცხადებაში.



როგორც რუსული მედია იტყობინება, შემთხვევა ესპანეთსა და ალჟირს შორის საერთაშორისო წყლებში მოხდა. გემი ორი კვირის წინ სანქტ-პეტერბურგიდან გამოვიდა და იანვრის ბოლოსთვის ვლადივოსტოკის პორტში უნდა შესულიყო.

## უცხოური ვალუტის კურსი:

**აშშ დოლარი - 2.8128; ევრო - 2.9236;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5289;**
**100 რუბლი - 2.7919; თურქული ლირა - 0.0799;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.6542;**
**1000 სომხური დრამი - 7.1210.**


## ძვირფასო მკითხველო!

გაზეთის გამოსაწერად დაუკავშირდით:
elva.ge: 577-30-88-47
„პლანეტა ფორტე“: 577-55-66-73

* * *

გთავაზობთ ტენდერების, აუქციონების, ვაკანსიების, ყოველგვარი რეკლამის, საიუბილეო და სამგლოვიარო განცხადებების განთავსებას გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“.
განცხადების ტექსტი შეგიძლიათ გადმოაგზავნოთ შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე:
sak@sak.ge
rkobulia29@gmail.com
ან მობრძანდით რედაქციაში:
თბილისი, აკ. წერეთლის 116, „დიდუბე პლაზას“ შენობა, IV სართ. ოფისი №448, ტელ;
577-772717, 599360035



საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებლები
**გიორგი მახარაშვილი,**
**არჩილ სიხარულიძე.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge



გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.



იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 616932



რეკლამისთვის დარეკეთ:
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790


**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 27 დეკემბერს**